138/1914 1/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

1914

ივლისი, № 7. მოზრდილთათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წაკაფული

ხალმაწვალი
ჟურნალი.

წელიწადი მეათე. ✻ ივლისი, 1914 წ.

3726

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი.

I—სურ. 1

II—წყაროვ,—ლექსი ი. მწყდლიშვილისა . . . 3

III—ჩემი ღღიური,—ი. ევდოშვილისა 5

IV—ტიტო,—ი. ტატიშვილისა 10

V—გლეხის სიმღერა,—ლექსი დ. ელიოზიშვილისა . . 29

VI—მინიონა, —(მოთხრობა ფონ-როდენისა გაგრძელება) თარგმ. გ. ლ—ძისა 30

VII—ძვირფასი ნადირი, —(თარგმ.) ნ. ნაკაშიძისა. . 40

VIII—ძროხები და მგელი,—იოსებ იმედაშვილისა . . 50

IX—ოქროს საწმისი,—(ფრანგ.) მედია დამბაშიძისა . . 53

X—ბრძოლა ადამიანისა ბუნებასთან,—ი. როსტომაშვილისა 57

XI—გასართობი: შარადა, გამოცანა და აღსნა . . 63

ტფილისი, ელექ.-მბეჭდ. ა. კერესელიძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წყაროვ...

მთიდან გადმოშვებული
ვერცხლის ნაწნავივითა,
წყარო ბავშვებრ უმანკო,
მოქარგული სხივითა
და სიცოცხლით აღსავსე
დილის რიჟრაჟივითა—
მოსჩქეფს მაღალ მთებიდან
გაბედული გრგვინვითა.

წყაროვ, ცელქო, გიჟმაჟო,
მთიდან გადმოტეხილო,
ნეტავ იმახ, ვის გულსაც
ესხურო და ეხილო;
ნეტა იმას და მის ბედს,
ვინცა შენ დაგემზავ!ოს,
ვინცა შენი ბუნება
თავისში მოათავსოს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წყაროვ, ჩამოურბინე,
ეამბორე ყვავილთა,
ყვავილთ საგაზაფხულო
ლიმით ბაგე-გახსნილთა...
იკისკასე, იხარე,
ვიდრე ზღვას შეერთვები,
ვიდრე გული გაცვდება,
ვიდრემდე დაჰბერდები.

იკისკასე, იხარე,
ეთამაშე ყვავილებს,
ვიდრე ნახავ ზამთრისგან
დამჭკნართა და დაყრილებს;
ვიდრე შენცა სიცივე
დაგაზრობს და გაგყინავს,—
წყაროვ, ილხინე, ვიდრე
თვალში სხივი გიბრწყინავს!..

ი. მჭედლიშვილი.



ჩემი დღიური.

ერიჰაა, ეს რამდენი სახლებია, ჰა?—დავაღე პირი და შევყურებდი ქალაქის სახლებს, როცა პირველად ჩაველ მე იქ.

ფანჯრები... ფანჯრები... ფანჯრები... ალბად სულ გარედ იყურებიან, თორემ რად უნდათ ამდენი ფანჯრები?—ვეკითხებოდი ჩემ თავს და ვთვლიდი ურიცხვ ფანჯრებს.

დუქნები, დუქნები ხომ რაღა გითხრათ! ყოველ ფეხის ნაბიჯზე დუქნებია. შაქრის პურისა, ხილისა. მგონი აქაური ბავშვები სულ კამფეტებს სჭამენ, თორემ რა საჭიროა ამდენი დუქნები. ჩვენ სოფელში კი ერთი ცარიელი დუქანია, და ისიც ისე გადაწოლილა გვერდზე, თითქოს ფეხში ეკალი შერჭმიაო.

საით მიეშურება ნეტა ამდენი ხალხი, ჰა? ზოგი იქით მიდის, ზოგი აქეთ; ზოგი ფეხით, ზოგი ეტლით...

საკვირველი ხალხია, ღმერთმანი: არც წერაქვი უჭირავთ ხელში, არც ბარი; სახრე რა არი—სახრესაც-კი ვერავის დაუნახავ ხელში, ჯოხები-კი თითქმის ყველას უჭირავთ; ალბად მოჩხუბარი ხალხია. მე-კი მაინც ვერ გამიგია—საით და რის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის მიეშურებიან? არსად ბოსტანი სჩანს, არსად ვენახი, არც ნახნავია. ქათამი რა არი, ქათამიც-კი ვერსად დავინახე. არა ჰგავს ჩვენ სოფელს: ჯერ მზეს კარგად არც-კი გამოუნათებია და იშლება მინდორზე ბლავილით ძროხა. გაჰყე უკან და გადადი ყირა-ყირა რბილ მწვანეზე. ამ ოხერში, აქ-კი ათურმასაც ვერსად ითამაშებ.

მე ვერა გამიგიარა, ღმერთმანი: თუ მდიდარი ხალხია, რატომ ცხვარი და ძროხა არა ჰყავთ; თუ ღარიბია, და რა ვიცი—ყველას-კი პაპიროზი გაუჩრია პირში და!..

როგორც ვამჩნევ, ქალაქელები ძლიერ გამწყრალები უნდა იყვნენ ერთმანეთზე. მაშ რა არი, რომ ამოდენა ხალხი დადის, და ერთმანეთს-კი, არ ელაპარაკებიან: ამან იქით გაიარა, იმან აქეთ,—მორჩა და გათავდა; არც გამარჯობა, არც გაგიმარჯოს.

არა ჰგვანან ჩვენებურებს. დაინახავენ თუ არა ერთმანეთს, მაშინვე მიაძახებენ: გამარჯობა—გაგიმარჯოს, როგორა ხარ, როგორ გიკითხო; შედგებიან, სალამ-ქალამი, როგორ არი მართა ბებია, თეკლე მამიდა, ზაქებს როდის გამოჰქნი*), კვირიკობას ჩემი წვეული იყავ, „პრიჰტავთან“ მიმეჩქარება, თორემ ხომ იცი ჩემი ამბავი... და ვინ იცის კიდევ რეებს არ მოჰყვება...

ეეჰ, ნეტა **ახლა** ისევ სოფელში ვიყო! აქ სალამურსაც-კი ვერსად დაუკრავ რიგიანად. რა კარგი იყო სოფელი! წამოვწვებოდი ქედზე და მოვყვებოდი ბატკანივით ბლავილს; ხან ჯაფარას გამოვაჯავრებდი, ხან კაჭკაჭს. მოიღლები, ჯ დაუგდე ყური ჩახრიალას, რომელიც გამალებული მიექანება ძირს სოფლისაკენ და აქ-კი აშხუილებს და ახმაურებს წისქვილს.

თუ გინდა პეპელას გამოედევნე! ბურთაობა! უჰ, შენიკი ჭირიმე, ბიჭო!

---

*) გამოქნა—პირველად ულელში შებმა,—ულლის შეჩვევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახეთ—ეს ოხერი ხმა-მაღლა არ წამცდა. ეს ვილაც პაგონებიანია—რალას მიბღვერის: ბურთი არ გაუგონია, თუ რა არი. ან რას გაუვლ-გამოუვლის ქუჩას... თითქოს ჰყარაულობს: არავინ მოიპაროსო.

აქ მგონი სიმღერაც-კი არ შეიძლება. აი, რამდენი ხალხი დადის, და ერთს არ დაულიღინია.

ტყუილია, ჩვენებური ბიჭები რომ დააგუგუნებენ ხოლმე:

„ჰოდელას როგორ ვერ ვიტყვით,
ჩვენი მოგონილიაო“...

ეეე, ეს ოხერი, ძალად არ მემღერება. ის ვილაც პაგონებიანი-კი ძალზე მიბღვერის. რა ის, რა სხვა: ყველანი რაღაც დაღვრემილები დადიან. ნეტა სად შეიძლება აქ კაცმა ერთი გულიანად იმღეროს და თანაც „გასმულა“ გაუსვას.

აგერ რამდენი ხანი ვათვალიერებ და ვერც მინდვრიანი ვნახე საღმე, ვერც ჯაგი. როგორც ჩანს აქ პირსაც ვერსად გავისველებ. არა ჰგავს ჩვენ სოფელს! ყოველ ფეხის გადადგმაზე ან ქლიავია, ან ვაშლი, ან ატამი; ყურძენი ხომ რალა გითხრათ: აცოცე ხელი და შენია. აქ-კი მხოლოდ დუქნებში უწყვიათ გასასყიდად. არა და, იქნებ ფული არა მაქვს, მაშ ხილიც ვერ უნდა ვჭამო?!

„ბიძია, საიდან მოგიტანია ეს ხილი?“—ვეკითხები მედუქნეს.

„საიდან და ბაღიდან.“

„მერე სად არი ეგ ბაღი?“

„ბაღი იქ არი, საცა ბაღია.“

„მადლობელი ვარ, ბიძია, ძაან მასწავლე,“—ჩავიბუტბუტე ნერწყვ-მორეულმა და იმედ-გადაწყვეტილმა, რომ ვერსად რას გავხდებოდი. გავეშურე სასწავლებლისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

სწავლა უჩემოდ დაუწყია მასწავლებელს; არა, დიდი საქმე იყო, რომ ცოტა მოეცადნა. განა არ იცის, თუ რამდენი რამეა დასათვალიერებელი გზაზე. ჰო, რასაკვირველია: იმისათვის სულ ერთია, ფული ბევრი აქვს, გაივლის ბაზარში—ხილსა სჭამს, გამოივლის და ხილსა სჭამს; შენ-კი უყურე შორიდან სავსე თაბახებს, და ინატრე სოფელი!

თუ ერთი სოფელში დაგიხელეთ, ქალაქელებო, მაშინ ნახავთ თქვენ სეირს. მაგრამ დროცაა. შევაღე კარები. გარედ გაჩერებას შესვლა სჯობია.

„გამარჯვებათ, ბიჭებო!"

„ხა, ხა, ხა, ხა,"—ასტყდა კლასში სიცილ-ხარხარი ჩემ მისალმებაზე.

„ზაჩემ ტი აბაზდალ! ზაჩემ ტი აბაზდალ!" დამკივის მასწავლებელი და მიტყაპუნებს უკანიდან. ტკივილს არა ვგრძნობ, მაგრამ ცრემლები-კი ველარ შემიმაგრებია. ამხანაგები იცინიან; ვგრძნობ—სახე მეწვის. შარი თუ გინდა—ეს არი. მე აბაზი არავისთვის არ მიმიცია. ან ვინ გახდიდა აბაზს საჩემოდ. მასწავლებელი-კი თან მიტყაპუნებს, თან დამკივის: „ზაჩემ ტი აბაზდალო!" მართალია—აქ ამ ერთ-ორიოდ დღეში რუსულს ვერ ვისწავლიდი, მაგრამ აბაზი ხომ სოფელშივე ვიცოდი, რომ ფული იყო; „დალიც" აქ გავიგე, რომ მიე, თუ მომე იყო, თუ რაღაც ამგვარი ჯანდაბა. ძაან შევებრძოლე მასწავლებელს, ბევრი უმტკიცე, რომ, თუ აბაზი მექნებოდა, სხვას-კი არ მივცემდი—ვაშლებს ვიყიდდი მეთქი, მაგრამ მე მას ვერა გავაგებინე-რა ქართულად. რუსულში-კი ისა მჯობდა, რადგან რუსი იყო.

*
* *

გათავდა ჩემი ტყეპა და კლასიც გამოვიდა. მივდივარ შინისკენ. სირცხვილით ველარ უყურებ ვეღარც ვაშლებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველარც ატმებს. თვალებში აბაზიანი მელანდება. გამვლელ-გამომვლელნიც თითქოს ყველანი მე მიყურებენ. ნუთუ ასე მალე გაიგეს ჩემი უბედურება! ცრემლი ყელში მომებჯინა. ველარ შევიმაგრე თავი და, შევაღე თუ არა სახლის კარები, დავიღრიალე.

„რა ამბავია, რა დაგემართა?“ მომეგებნენ კარებში ჩვენები. მესიამოვნა რომ მზრუნველობით მკითხეს. ცრემლებმა უფრო უმატეს.

„ოჰ, რომ იცოდეთ—რაც დამემართა, თქვენც ჩემთან ერთად იტირებდით-მეთქი,“—ვფიქრობდი გულში. „მასწავლებელმა შარი მომდო, აბაზი სხვისთვის მიგიციაო და მიმტყიპა. აბა სადა მქონდა აბაზი, ან ვის მივცემდი“... მოვსთქვამდი ჭირისუფალივით ჩემს უბედურებას.

„რას სულელობ, ბიჭო, სთქვი სწორედ—რისთვისა გცემა მასწავლებელმა?“—დამკივის ჩემი უფროსი ძმა. მცემეს, და აღარც მიჯერებენ, რომ მცემეს; რა ბოროტი ხალხია.

„რისთვის, და აბაზისთვის: სხვისთვის მიგიციაო,“ გაუჯიუტდი მეც ახლა კი უარესად.

„ბიჭო, ხომ არ გადაირიე: სწორედა სთქვი—რაშია საქმე?“ მეკითხება ისიც მოთმინება-დაკარგული.

„რაშია, და იმაში, რომ ცოტა შემიგვიანდა; შევაღე თუ არა კლასის კარები, როგორც წესია, ყველას სალამი მივე; მასწავლებელი-კი მომვარდა უცებ: „ზაჩემ ტი აბაზდალ!“ და დამიწყო ცემა. ჩემი ძმა გულიანად იცინის ჩემ სიტყვებზე; მე უფრო გულიანად ვტირი. არა, რა იყო აქ გასაცინი. ერთი იმისთვის ეცემათ, და ვნახავდი, როგორც გაიცინებდა.

„შე სულელო, აბაზისთვის-კი არ უცემია—კლასში დაგიგვიანია. რუსულად ეგ სიტყვები ერთმანეთს გვანან,“—მიხსნის ჩემი ძმა და სიცილს ველარ იმაგრებს. „დამგვიანებია... დამგვიანებია“... ვბუტბუტებ მეც და ვერ ამიხსნია რა საერთო აქვს აბაზს დაგვიანებასთან; ნელ-ნელა თვალზე ცრემლები მაშრება. თანაც ვანგარიშობ—რამდენი მომხვდა ერთ აბაზში...

ირ. ევდოშვილი.

(შემდეგი იქნება).



ტ ი ტ ო.

I

ადაყვლეფილი ხელი ეწოდა ტ ყურიც დასისხლიანებული ჰქონდა, მაგრამ ეს არც თუ დიდი უბედურება იყო. უბედურება ის იყო, რომ დამარცხებული გამოვიდა. არც საკვირველია! ისინი სამნი იყვნენ, მერე მოულოდნელად დაეცნენ თავსა; ტიტო-კი მარტო იყო. მართალია, ამას ჰგრძნობდა ტიტო, მაგრამ გული მაინც უტიროდა: შეურაცყოფილი თავ-მოყვარეობა სტიროდა. უფრო ცუდი ის იყო, რომ დურგლის ბიჭს არ გაუმარჯვნია, მაგრამ გამარჯვებული მაინც ის დარჩა, ის, ცხვირი რომ ვერ მოლხოცნია, ფეხებს ძლივს დააირევს და ბიჭები ქუჩაში „ქეციანს“ რომ უძახიან.

ოი! მარტო ჩაიგდებდეს სადმე ხელში, უჩვენებდა სეირსა! მაგრამ დაიცადოს: ერთხელაც არის ტიტოს უბნისკენ ჩამოი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლის. საქმე ის ხომ არ არის, სხვის უბანში რომ მოუსწრო ტიტოსა და ამხანაგები დაახვია თავსა. ყველა ძაღლი თავის კარებზეა გულადი...

— დასწყევლოს ღმერთმა!—ამბობდა ტიტო, ძილის პირს ლოგინში რომ ჩაწვა ⁄ საბანში თბილად გაეხვია.

რა კარგი რამ იყო ეს დაგლეჯილი საბანი, თხელი ლეიბი და გაქვავებული ბალიში! მთელი დღე ტიტო კარში ეგდო და ძალიან იყო დაღალულ-დათენთილი; ახლა-კი ლოგინმა თბილად მიუალერსა და გულს ჩაიხუტა. ტიტო ისე არავის უყვარდა, ისე არავინ უალერსებდა, როგორც ეს დაფლეთილი ლოგინი. ამიტომ ტიტო ლოგინს არავის მიაკარებდა ხოლმე: თითონ ილაგებდა, თითონ იშლიდა თავის ძონძებს და ამაში დიდ სიამოვნებას ჰხედავდა. თავის დარდს სრულად ლოგინს ეტყოდა ხოლმე მაშინ, როცა ლოგინს იშლიდა ან შიგა წვებოდა ⁄ საბანში ეხვეოდა, დღისით დაღლილი, გაჯავრებული, ნაწყენი. ლოგინსვე უზიარებდა თავის იმედებს, მოსაზრებას, მოქმედების გეგმას: უზიარებდა მაშინ, როცა ლოგინს ალაგებას დაუწყებდა ხოლმე ⁄ წალოში ჰსჩურთნიდა. ასე: განვლილ დღის ცხოვრების ჯამს საღამოთი შეადგენდა ხოლმე ⁄ დილით კიდევ ახალი დღის, ახალ ცხოვრების გეგმებს საზროვნობდა.

თავისი ლოგინის გაშლა-ალაგება—ერთად-ერთი საქმე იყო, რომელსაც ტიტო ოჯახში აკეთებდა. ამას გარდა კიდევ ერთი რამ უყვარდა ტიტოს: დუქანში წასვლა ⁄ საწვრილმანოს ყიდვა. ეს საქმე იმიტომ უყვარდა ტიტოს, რომ შემოსავალს აძლევდა: მუდამ ახერხებდა ⁄ თითო-ოროლა კაპეიკს იპარავდა. მართალია, ამისათვის მამა აგინებდა ⁄ უყვიროდა—კიდევ გახველი ქაფსაო!—მაგრამ ტიტო მამას ყურს არ უგდებდა ⁄, რაკი ნავაჭრს დაჰყრიდა, მაშინვე გარედ გავარდებოდა ხოლმე. რას უშვრებოდა ფულსა? ვიდრე პატარა იყო, მისი გამოყენება არ იცოდა, არ იცოდა ფულის მოხმარება და სადმე თამაშობაში დაეფანტებოდა ხოლმე, ან ამხანაგებს აძლევდა. ამხანაგები-კი მისი ფულით ქეიფობდნენ, და იშვიათად

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ამ ქეიფში მისთვისაც წილი დაედოთ. მერე-კი, როცა წამოიზარდა, თითონ ყიდულობდა ხოლმე თითო-ოროლა კაპეიკიან ფოჩიან კამფეტებს და ამხანაგებს ჰპატიჟობდა. თორმეტი წლისა რომ გაჰხდა ტიტო, მაშინ-კი ძალიან ჰსჭირდებოდა ფული—პაპიროზის წევას შეეჩვია.

ეს იყო სრულად მისი საქმიანობა: ალაგება ლოგინისა—რომელიც უყვარდა, რადგანაც მასში ალერსსა ჰხედავდა—და დუქანში რბენა,—რაკი ეს საქმე მას ფულს აგებინებდა. სხვა საქმეს ტიტო ოჯახში არას აკეთებდა; ესეც კია, არც არას აკეთებინებდნენ. დღეს ქუჩაში აღამებდა; მდინარეში ბანაობდა და ბიჭებს ეთამაშებოდა. მართალია, ამ თამაშობაში ხშირად დიდი ჩხუბიც მოუვიდოდა ხოლმე და ბიჭები მას თავ-პირს ამტვრევდნენ, მაგრამ ამხანაგებს ისევ მალე შეურიგდებოდა ხოლმე, თუმცა წყენას არასოდეს არ ივიწყებდა. შეურიგდებოდა ხოლმე იმიტომ, რომ სხვა გზა არა ჰქონდა: ჯერ ერთი—სათამაშოდ ამხანაგები იყვნენ საჭირონი, და მეორეც ისა, რომ იმედი ჰქონდა—როდისმე, სადმე მოვუსწრებ, ვიხელთებ და ჯავრს ვიყრიო.

სწორედ ასეთი შემთხვევა ჰქონდა დღეს.

დიდი ხანია ტიტოს ჯავრი ჰსჭირს ერთი ბიჭისა, რომელიც თავის დავარცხნილ თმითა და სუფთა ტანისამოსით მუდამ ამაყობდა. ამ ბიჭს გოგლო ერქვა.. რათა ჰსჭირდა მას ამ ბიჭის ჯავრი—ტიტომ არ იცოდა. მგონი არასდროს უწყენინებია ტიტოსათვის, მაგრამ ტიტო-კი მის მედიდურ სისუფთავეს და სითეთრეს მაინც ვერ ითმენდა. დღეს ქუჩის კუთხეში მარტო მოიგდო ხელთ ტიტომ, როცა გოგლო სკოლიდან ბრუნდებოდა და ცემა დაუპირა. რა წამს ტიტომ გოგლო შორიდან დაინახა, მაშინვე საჩხუბრად მოემზადა: ხელში რომ კოჭები ეჭირა—უბეში ჩაიყარა, ორი თითით ცხვირი მოიხოცა ⁄ თითები გასაწმენდად ხალათზე ჩამოისვა. მერე დინჯად გაემართა გოგლოსაკენ, წინ ჩამოუდგა და „ჩესტი“ გაუკეთა. პატარა ბიჭი გალაჯული გაჩერდა; ხელში

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ წიგნები და რვეულები ეჭირა, მარაოსავით გაეშალა და თითონაც ტიტოს შეხედა. ტიტო თვალებში უცქეროდა ბ ხელი ისევ საფეთქელზე ჰქონდა მიდებული. ტიტო რაღასაც ელოდა. ალბად იმედი ჰქონდა—გოგლო შეშინდება, ატირდება, გაიქცევაო; მაგრამ გოგლო გაუნძრევლად იდგა და გაკვირვებით უცქეროდა თავის წინ მდგომ ტურტლიან, დაძონძილ ტიტოს, ჩითის მოკლე შარვალი რომ ეცვა და უწინდო ფეხები მტვერში გაგანგლულ ჩუსტებში ჰქონდა წაყოფილი; კანჭები გაშავებული ჰქონდა, მზისა და წყლისაგან დაშაშრული. ტიტომ შეათვალიერა გოგლოს ნაცარა მაუდის ხალათი, გრძელი შარვალი, ღილებით შეკრული და გავაქსილი ფეხსაცმელები, ქამრის ბრჭყვიალა აბზინდი—და სახე დაეღრიჯა.

— შენ დიდ სკოლაში სწავლობ, არა?! (ასე ეძახდა ტიტო გიმნაზიას)—ჰკითხა ტიტომ, „ჩესტი“ მოშალა, ხელები მუცელთან ჩაუშვა და ცალი ხელის თითებით მეორე ხელის თითებს გრეხა დაუწყო.

გოგლომ ხმა არ გასცა.

— მე-კი პატარა სკოლაში ვსწავლობ: აგერ იქა, საყდართან!—ხელი გაუშვირა ტიტომ.—შენ კაცები გასწავლიან, მე-კი—ქალები.

— მე დღეს რუსულში ხუთიანი ნიშანი დამიწერა მასწავლებელმა!—მხიარულადა და თავ მომწონედ სთქვა ბიჭმა:—შენა?

ტიტო რაღაცამ გააბრაზა.

— აი მე!—დაიძახა მან და გოგლოს თავში ჩაჰკრა. გოგლოს სუფთა ქუდი თავიდან მოჰვარდა და მიწაზე გაგორდა; წიგნები დაეფანტა და თვალებზე სიბრაზის და წყენის ცრემლები მოადგა, მაგრამ ტიტოს ხელი არ შეუბრუნა, თავის დაფანტულ ნივთებს ჩუმად დასწვდა ასაღებად. ტიტომ უკანიდან მუხლი ამოჰკრა, წააქცია და ცემა დაუწყო. უჰ, როგორ გალახავდა, გოგლოს რომ დურგლის ქეციანი ბიჭი არ მიშველებოდა. იქნებ ორივესათვისაც ეცემნა; იქნებ-კი არა—

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლა სცემა, მაგრამ დურგლის ბიჭს მამის შეგირდი მიეშველა, და აბა სამივესთან მარტო რას გააწყობდა!? ყველას სათითაოდ-კი გადუხდის: თითო ქვას მაინც შესთავაზებს თითოსა. (ტყუილად ხომ არ ეძახიან ტიტოს ქვა-სროლიასა!?) მართალია, მერე-კი იყრის ჯავრსა, მაგრამ ახლა რად გამოვიდა დამარცხებული,—რად!? რა საქმე ჰქონდათ დურგლის ბიჭსა და შეგირდს, რომ მიეშველნენ?!

— რა შენი ტოლია, რომ ეჩხუბებიო!—დაუყვირა ტიტოს დურგლის შეგირდმა.

— ჩემი ტოლი რომ არ იყოს, ხომ არც ხმას გავცემდი. დიდს ვერ მოვერევი, და პატარას ცემა არა ღირს. რატომ არ არის ჩემი ტოლი? თუ მამა ჩემი ხარაზია, იმის მამა კიდევ მიკიტანია! დიდ სკოლაში რომ დადის, იმიტომ არ არის ჩემი ტოლი?—გაიფიქრა ტიტომ და ცუდი სიტყვით შეაგინა. გინება ძალიან იცოდა ტიტომ.

მთელ ამ ამბავში ცუდი ის იყო, რომ ხვალაც ბევრი მოჰხვდება ტიტოს: დედა ჩამოჰქოლავს და დაჰჩქმიტავს, გასისხლიანებულ ყურს და მხარ-გადახეულ ხალათის რომ დაუნახავს; მამა მართალია დილით ვერ ნახავს ტიტოს, სამუშაოდ ადრე წავა, მაგრამ საღამოთი რომ დაბრუნდება, უეჭველია მაშინ მისჯოხავს; სკოლაში კიდევ მასწავლებელი ქალი დაუწყებს დარიგებას და ჭკუის სწავლებას. ეს დარიგება ტიტოს ძალიან ეჯავრება, ეჯავრება მეტადრე მას შემდეგ, რაც მან ერთხელ მასწავლებელი ქალის სიტყვები გაიგონა:

— ტიტო უნდა მოვარჯულო, კარგი მოწაფე დადგებაო!..

— რა მაქვს მოსარჯულებელი? ის, რომ იმათ წიგნებს არა ვსწავლობ? მე ვარ, და არა ვსწავლობ! ვის რა უნდა? ის ურჩევნია მასწავლებელს მამას ჯოხი წაართვას, რომ ალარა მცემოს.

ასე ჰსჯიდა ტიტო.

— რა ქალის საქმეა მასწავლებლობა! რა შეუძლიათ ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს? არაფერი. დედა ჩემი მარტო იწყევლება და იჩქმიტება, მასწავლებელი ქალი-კი ჭკუის დარიგებას მოჰყვება ხოლმე, და თუ არა მწყევლის და არა მჩქმეტავს, იმიტომ, რომ ჩემი მორჯულება უნდა.—ამ ჩქმეტა-წყევლისა და დარიგების გამო ტიტოს ქალები ეჯავრებოდნენ.

— კაცები—სულ სხვაა!—ფიქრობდა ხოლმე ტიტო:— მამა თუმცა იცემება, მაგრამ არც იწყევლება, არც იჩქმიტება და არც ჭკუას მასწავლის ხოლმე! ცემა ჰსჯობია.

ტიტოს თვალში ასეთი გარჩევა ჰქონდა კაცსა და ქალს: ქალი იწყევლება, კაცი იცემება. ტიტოს პატარა და—კატოც-კი იწყევლება ხოლმე, როცა ტიტო მას თავში ჩაჰკრავს. ამიტომ ქალები ეჯავრებოდა ტიტოს. შეიძლება ეს იმიტომ იყო, რომ თითონ წყევლა არ იცოდა, ცემა-კი უყვარდა.

და ახლა, როცა დამარცხებული, ნაცემი, მტკივნეული ტიტო სახლში ჩუმად შეიპარა და თავის ლოგინს მიუალერსა, იმას-ღა ჰფიქრობდა, თუ ხვალ როგორ აეცდინა ის უბედურება, რომელიც დილიდან მოყოლებული საღამომდის თავს უნდა დასტყდომოდა. ბევრი ფიქრი არ დასჭირდა. ამისთანა საქმეები წინადაც ხშირად გადუწყვეტია, ახლაც ისე გადასწყვიტა:

— დილით, რომ დედამ არა ნახოს ჩემი დასისხლიანებული ყური და დახეული ხალათი, ადრე ავდგები, მინამ მამა გაიღვიძებს, და სახლიდან გავიპარები; რომ სკოლაში მასწავლებელმა დარიგება არ დამიწყოს, სკოლაში არწავალ, და საღამოთი რომ მამამ არა მნახოს, შინ გვიან მოვალ, მაშინ, როცა მამას ეძინებაო.

— ხვალ შაბათია, „იშაბაშებს“, შინ მთვრალი მოვა და ძალიან დაეძინება, ჩემს გვიან მოსვლას ვერ გაიგებს,—გული გაიკეთა ტიტომ.

ამ საქმის ასეთ გადაწყვეტილებას ერთი რამ კარგი კიდევ ჰსჭირდა: თუ ტიტო ხვალ სკოლაში არ წავა, გოგლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი სკოლისკენ გზას მოუჭრის და სცემს, ჯავრს იყრის. მართალია, ხვალ დილით უზმო გავა სახლიდან და საღამომდის უჭმელი იქნება, მაგრამ ეს არაფერია. გუშინ, შაქარსა და ნავთს რომ ყიდულობდა, სამ კაპეიკს „ქაფს გავიდა;“ ამ სამი კაპეიკისას ხვალე ბლითებს იყიდის და ეყოფა.

როგორ დაეძინა ტიტოს—არ გაუგია.

II

მზეს თავი ჯერ რიგიანად არ ამოეყო, ტიტომ რომ თვალი გაახილა, გაიზმორა და მაშინვე ჩაცმა დაიწყო. ყველაფერი ჩაიცვა, ჩუსტების გარდა: სიარულის დროს ოთახში ბრახუნს დაიწყებს და შინაურებს გააღვიძებსო. ფეხ-შიშველამ აილაგა ლოგინი, განჯინაში პურის ერთი დიდი ნატეხი მოიპარა, ჩუსტები იღლიაში ამოიჩარა და სარდაფიდან ამოძვრა. ეზო ფეხ-შიშველამ გაირბინა და ჭისკარს ეცა. იგი დაკეტილი დაუხვდა. აფოფხდა ზედა, დიდი კარების თავზე გადაძვრა, ქუჩაში გადახტა და გაიქცა. როცა სამშვიდობოს გავიდა, ქვაზე ჩამოჯდა, ჩუსტები ჩაიცვა და პურის გემრიელი ლუკმვით მდინარისკენ გასწია.

ქუჩაში ჯერ არავინ იყო. დილის ცივი ჰაერი ის-ის იყო იღვიძებდა. სახლებს და ღობეებს ღამის ძილი ჯერ ისევ ეფარა. ცა-კი ძალიან გაციაგებულიყო. მზეს სადღაც თავი ამოეყო და სხივებით სახლის სახურავები და ხეების კენწეროები წითელ ოქროს ფრად შეევარაყებინა. დილის გრილი ნიავი ტიტოს სახეს და ტიტველ კანჭებს სცემდა; ბზის-ფერ, თხელ, ნაზ და უჩინარ ბუსუსებს, ტიტოს კანჭებსა და ყბებზე რომ ჰქონდა აყრილი, ნელა ანიავებდა. მუდამ მტკივნეული გული ტიტოსი სიამოვნებით გაივსო. ჩქარა-ჩქარა მიდიოდა, რომ თავის უბანს მალე გაჰსცლოდა. გამოფიტულ, ცარიელა პურს გემრიელად ჰკბეჩავდა და უცქეროდა მზეს, სახლების სახურავები და ხეების კენწეროები რომ გაელამაზებინა. დაავიწყდა მტკივნეული ყურიც, გუშინდელი ჩხუბიც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუხანდელი თავისი ფიქრებიც. ყველაფერი დაავიწყდა. ახლა გული დიდი და დამშვიდებული ჰქონდა.

შორიდან მდინარე გამოჩნდა. წყლის ნოტიო და მსუბუქმა სიომ დაუბერა და ტიტო შეაცივნა. უჰ! როგორ უყვარს ტიტოს ეს მდინარე,—ჩქარი, ქაფიანი, მღვრიე! როგორი ცურაობა იცის! როცა უნდა, მაშინ გავა მდინარის მეორე ნაპირს და ისევ გამოვა. მდინარის დანახვაზე ტიტომ შეტლინკა, შეხტა და შემოსძახა:

„მე ავარა დავდივარ, ღამე შინ არ შევდივარ!“

როცა მდინარესთან მივიდა, ტიტო ნაპირზე ჩამოჯდა, უკანასკნელი ლუკმა ჩაჰყლაპა, ნიდაყვებით მუხლის თავებს დაეყრდნო, თითები ლოყებზე დაილაგა და მდინარეს დაუწყო ცქერა. მოჰქშუოდა მაისის წვიმებით ადიდებული მდინარე! წუხელის წყალს დიდად ემატნა, ამღვრეულიყო და აქაფებული ღრიალებდა.

ტიტო ამ ღრიალს ყურს უგდებდა, თავის პატარა, მუდამ ნატკენ გულით მას ბანს აძლევდა. ახლად გაღვიძებული ბეღურები და მერცხლები მდინარის პირას დაფარფატებდნენ, წყალსა ჰსვამდნენ და ჭიკჭიკებდნენ. მათ ჭიკჭიკს მდინარის ღრიანცელი ჰფარავდა, მაგრამ ტიტოს იგი მაინც ესმოდა. ხან მდინარეს, ხან ფრინველებს აღევნებდა თვალს და რაღაც უკვირდა. იცოდა, რომ თითონ ადამიანია და გონება აქვს, მაგრამ აი, ამ პატარა მერცხალსაც არა აქვს ნაკლები მ-საზრება: აგერ, როგორი სრიალით გაურბინა წყლის აქაფებულ ზედა-პირს, ჩაუნისკარტა, აკრიფა ცივი წვეთი, კიდევ, კიდევ! შემდეგ შეჰკრა კამარა და ელვასავით გაჰქრა.

ტიტოს წინ, რიყეზე ორი ბეღურა რაღაცაზე წაიჩხუბა, გაფაფხრეს ფრთები, აიბურძგნენ, ჩაჰკრეს ერთმანეთს, ჩაუნისკარტეს ‌ᲩᲐᲘᲬᲘᲕᲚᲔᲡ. „ᲰᲔ! ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲑᲠᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐᲠ!“ — გაიფიქრა ტიტომ, კენჭს ხელი წამოავლო, ესროლა ‌ᲩᲐᲩᲮᲣᲑᲐᲠᲘ ᲑᲔᲦᲣᲠᲔᲑᲡ და გაიშველა. ბეღურები შეფთხრიალდნენ და იქით

ნაპირს გადაფრინდნენ. ტიტომ გაიღიმა, წამოდგა, თიბეს
გადაჭდობილი ხელები თავს ზევით ასწია და გაიზმორა. შერე
მდინარესთან მივიდა და ჩიტებსავით იმანაც პირი დაიბანა
ცივმა წყალმა სიამოვნება და ჟრუანტელი მოჰგვარა.

შემდეგ ისევ დაჯდა, მუხლზე შარვლის ტოტი გადიწია
ჭ დიდ მუწუკს, მუხლის თავზე რომ ჰქონდა, ჩააცქერდა. ეს მუ-
წუკი, აღარც-კი ახსოვს ტიტოს, თუ როდის ამოუვიდა. ერთ-
ხელ ამოუვიდა, და მას შემდეგ დარჩა ისე: არც გაიზარდა,
არც დაპატარავდა. მას ტიტო ხშირად აიწიწკნიდა ხოლმე.
მუწუკი ტიტოს ხშირად აწუხებდა მეტადრე სიცხეზე. ახლა,
რომ დააცქერდა მუწუკს, ტიტოს თავისი მუხლი შეეცოდა.
მუწუკს სისხლ-შერეული ბალღამი დასდიოდა და გარეშე-
მოც მტვრისაგან შავი ზოლი ჰქონდა შემოვლებული. დე-
დამ ბევრი წამალი უსვა ამ მუწუკსა, მაგრამ ვერ მოარჩინა
და ბოლოს თავი დაანება. ტიტოს-კი ისე ეგონა, თითქოს
ეს მუწუკი, რომ დავიბადე, მაშინ დამყვაო. ხშირად და დიდ-
ხანს უფიქრია ტიტოს ამ მუწუკზე, ახლაც მოადგა ეს ფიქ-
რები, მაგრამ დღეს ისეთ კარგ გუნებაზე იყო, რომ ეს ფიქ-
რი აღარ უნდოდა.

იმ წუთს ისეთი ნაზი, კეთილი და მსუბუქი გული ჰქონ-
და ტიტოს, რომ ქვეყანას მიუალერსებდა და დაჰკოცნიდა.
გუშინ რომ გოგლოს ცემა დაუპირა, იმასაც-კი აკოცებდა.
მოაგონდა გუშინდელი ჩხუბის ამბავი და სირცხვილის ღიმი-
ლით გაიღიმა; თავი ჩაჰკიდა.

— რა დამიშავა იმ ბიჭმა?—ჰკითხა ტიტომ თავის თავს
და შეეცადა მოეგონა სად, როდის და როგორ გააჯავრა
გოგლომ ტიტო, მაგრამ ვერ მოიგონა. მოაგონდა მხოლოდ
იმისი სუფთა ტანისამოსი და შეშურდა.

— რუსულში ხუთიანი მივიღეო!—ესეც შეშურდა. რო-
გორ უნდოდა ტიტოს რუსულის ცოდნა:—რუსულს ისწავ-
ლის თუ არა, მაშინვე „გოროდოვოი“ გავხდები. „გოროდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოობა“ იმიტომ უნდოდა ტიტოს, რომ „გოროდოვ-ყველას ეშინია, მამის დიდ ჯოხსაც-კი ეშინიან, ტიტოს რომ სცემს ხოლმე. მაშინ ტიტოსი ყველას შეეშინდება: ვერც ვერავინა სცემს, ვერც დასწყევლის და ვერც ჭკუას დაარიგებს.

ტიტო ერთ დიდ ქვას დაჰსწვდა და გასტყორცნა; ქვა სრიალით და ტრიალით წავიდა და მდინარის შიგ შუა გულში ჩავარდა. წყალი შეშხაპუნდა.—ბუჰ!—დაიძახა წყლის გულმა.

— ბუჰ!—დაიძახა ტიტომ; გაუხარდა, რომ ქვა შორს გაუწია. უბანში ტიტოსთანა ქვის მსროლელი არავინ იყო. ტიტომ ქვის სროლა დაიწყო.

— ბუჰ!—იძახდა წყალი.

— ბუჰ!—ხარობდა ტიტო.

მობეზრდა ქვის სროლა; თითონ მოუნდა წყლისათვის იგივე ხმა ამოელებინებინა. ხელად გაიძრო ტანისამოსი, შედგა ერთ მაღალ ქვაზე და წყალში გადახტა.

— ბუჰ!—ისევ დაიძახა წყალმა. ტიტო ჩაერთო წყლის სირღმეს, ჩაიძირა. ცივმა წყალმა ჟრუანტელი აუყენა ტანში; ჩაყურყუმელავებულ ტიტოს სუნთქვა შეეკრა. წყალმა ტალღა დაჰკრა და ტიტო ქვემოდ წაიღო. ტიტომ წყლიდან თავი ამოჰყო და მდინარეს გაჰყვა. მერე შემოტრიალდა, მოუქნია ტალღას მკლავი, მიაწვა მკერდით და ნაპირს გამოვიდა. იმ წუთს ტიტოს თვალებში სიხარული და სინათლე ედგა. კვლავ ჩაიყურყუმელავა ტიტომ, კიდევ, კიდევ, და ყოველ ჩაყურყუმელავებაზე გული სიხარულით ევსებოდა.

მზე ამოვიდა; ტიტომ ტანთ ჩაიცვა. მზემ მიუალერსა; გაციებული, შეწინწკლული ტანი შეუთბო და იამა. მდინარის პირად ვილაცეები გაჩდნენ. ზოგი კავით მოვიდა და მდინარისაგან მოტაცებულ ხეებს იჭერდა; ზოგი ქვიშაში რაღაცეებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეძებდა. თათრებმა ურმები მოიტანეს ⁄ რიყეზე ქვის კრეფა დაიწყეს.

მდინარის პირად გაისმა ხმაურობა, ყაყანი და გინება. ტიტომ მდინარეს თავი დაანება და ქუჩებისაკენ წავიდა

III

უწინარეს ყოვლისა ისე იყო წასვლა საჭირო, რომ ქუჩებში არც მამას შეჰხვედროდა და არც მასწავლებელს. როცა ამ ხიფათებს ასცილდებოდა, მერე ნახავდა—რას იზამდა და სად წავიდოდა.

დილის ნიავმა, სუფთა ჰაერმა, ქვის სროლამ და ბანაობამ ტიტოს პური მოაშივნა. ჰგრძნობდა, რომ თავისი სამი კაპეიკით დღეს თავს ვერ გამოიკვებავდა. მაინც შევიდა მეფურნესთან. სამ კაპეიკად სამი ბლითი იყიდა, ერთიც მოიპარა და ოთხი ბლითით შესაუზმდა. თან ნელა მიდიოდა. ერთი-ორი საათით ტიტო მაძღარი იყო, ჭამაზე ფიქრი ჯერ საჭირო არ იყო, და იმის ზრუნვა დაიწყო, თუ სად წასულიყო და რა გაეკეთებინა. მოაგონდა თავისი წუხანდელი გადაწყვეტილება, გოგლოსათვის დიდ სკოლისაკენ გზა რომ უნდა ეყელნა და ჯავრი ეყარა, მაგრამ ახლა მის გულში ჯავრისა ნატამალიც აღარ იყო. თითქოს ეს ჯავრი დილით წყალში ბანაობის დროს გაირეცხაო, და ამიტომ ამ ფიქრზე ხელი აიღო. სხვა რამ გასართობი უნდა მოეგონა: მიდიოდა, ტიტველა კანჭებს მიიქნევდა, ცხვირს ასრუტუნებდა და თან ჰფიქრობდა.

ჩამოცხა. ოფლის დენა დაიწყო. ქუჩებში ხმაურობა იყო. ტიტომ ბაზარზე გაიარა. იქაც ერთი ღრიანცელი და ვაი-ვაგლახი იდგა. მტვერი, გუბეები, დანამული ახალი მწვანილი, ჩანგლებზე ჩამოკიდებული ხორცის წითელი ნაჭრები, ბუზები რომ ეხვეოდა, გინება, დუქნების ფარდები, ცხენები, ხალხი, კალათები,—სუყველაფერი ერთმანეთში იყო არე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ული და ტიტოს თავს აბეზრებდა. ტიტო ბაზრიდან ერთ ვიწრო ქუჩაში გავიდა და ბაზარს მოშორდა.

— ნეტა ყველაფერი ეს რად არის გაკეთებული? ბაზარი, ფული, ყიდვა, ცემა, წყევლა, მუწუკი ფეხზე (ახლა სიცხისაგან რომ აწუხებს ტიტოს), ეს ქუჩები, სახლები, რად არის?— გაიფიქრა ტიტომ. რამდენჯერ დაუპირებია ამის ფიქრი, რამდენჯერ მოუნდომებია კარგად დაჰკვირვებოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა: ხან რა უშლიდა, ხან რა. რამდენჯერ უნდოდა ეს საქმე ვისთვისმე ეკითხნა, მაგრამ არავინ იყო ისეთი. ერთხელ დააპირა—მასწავლებელსა ეკითხავო, მაგრამ ამას თავი დაანება.

— იმან რა იცის, ის ქალია!—იფიქრა ტიტომ;—მაგრამ მასწავლებელმა ხომ ყველაფერი უნდა იცოდეს?!—შეეპარა ტიტოს ეჭვი. მაინც ვერა ჰკითხა: გული არ მიუვიდა მასწავლებლისათვის ეკითხნა.

და ახლაც, თავისი ფიქრი—რად არის ყველაფერი გაკეთებულიო—ვერ განაგრძო. ქალაქის დიდ ქუჩაზე გავიდა და ახალმა სანახაობამ ფიქრის ძაფი გაუწყვიტა. ქუჩის კუთხეში გაჩერდა, სახელოთი შუბლზე ოფლი მოიწმინდა და ამოიოხრა. მისი ფიქრი ახლა ერთი რამ იყო: სად წასულიყო.

უცბად მუსიკამ დაიგრიალა. მიიხედა ტიტომ და ნახა, რომ ჯარი მოდიოდა. გაუხარდა. შეერია ბიჭების ჯგუფს, ჯარს რომ მოსდევდა, მუსიკის ხმას ფეხები და ხელები ააყოლა და თან გაჰყვა. მისდევდა იმდენ ხანს, ვიდრე მუსიკა არ გაჩუმდა. ჯარმა ტიტო შორს გაიტყუა. ძალიან დაიღალა. ქუჩის ფილაქანზე ჩამოჯდა და მის წინ მიმავალ ჯარს ცქერა დაუწყო. ჯარი მიაბრახუნებდა, ხელებს და ფეხებს მწყობრად მიიქნევდა, ხიშტებს ტალღასავით აქნევდა და მტვერს აყენებდა.

— ნეტა რად არის ჯარი გაკეთებული?—იფიქრა ტიტომ, მაგრამ პასუხი ვერ იპოვა. გრიალებდა მუსიკა... შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუჩაში უცნაური სიჩუმე ჩამოვარდა და ამ სიჩუმეს მხოლოდ ჯარის ფეხის ხმა არღვევდა.

ტიტო, თავისი ფიქრებით, თავის ადგილას დიდ-ხანს იჯდა. ჯარმა გაიარა; ქუჩა ცოტათი მიყუჩდა; უფრო ჩამოცხა. ერთ ადგილას, ჯდომა სასარგებლო არ იყო. ტიტო ისევ გზას გაუდგა. შორს დაინახა: ერთ კაცს ზურგზე არღანი აეკიდნა და მიდიოდა. ტიტო მას უკან დაედევნა. როგორც ჯარს, მეარღნესაც ბიჭების ხროვა მისდევდა. გაჰყვა ტიტო და ბიჭებთან და მეარღნესთან ერთად ერთი სახლის ეზოში შევიდა. მეარღნემ არღანი დაუკრა. რაღაც მოსაწყენი და უადგილო იყო არღნის ჰანგები ამ სიცხესა და მტვერში. ტიტომ ჯერ ღიღინი დაიწყო და არღნის ხმას აჰყვა. მერე ისევ გაჩუმდა. ირგვლივ უცნობი ბიჭები იდგნენ. ტიტო ერთს მიუბრუნდა და უთხრა:

— ადესაა, აი!—და არღანზე მიუთითა. *)

ბიჭმა ხმა არ გასცა. ტიტოც გაჩუმდა. მეარღნემ რამდენიმე სიმღერა დაუკრა, რამდენიმე კაპეიკი იშოვა და ეზოდან გავიდა.

ტიტო ერთ-ხანად იდგა და არ იცოდა რა ექმნა. დაინახა—ბიჭები კოჭობანასა თამაშობდნენ. მოაგონდა თავისი კოჭები, სახლში, კიბის ქვეშ რომ ჰქონდა დამალული, და გული დასწყდა: ახლა აქ რომ მქონდეს—მეც ვითამაშებდი. უბეში ხელი ჩაიყო და იქ ერთი კოჭი იპოვა; გაეხარდა; მივიდა მოთამაშე ბიჭებთან და ღიმილით უთხრა:

— მეც მათამაშეთ!

— აგდე!—უპასუხეს.

გაიმართა თამაშობა. შეჰყვნენ და ტიტომ ყველას მოუგო. იმდენი კოჭი მოუგროვდა, რომ აღარც-კი იცოდა, რა

---

*) არღნებს ოდესაში აკთებენ. ოდესის არღანი განთქმულია.

ი. ტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექნა და შინ როგორ წაელო. წაგებულმა ბიჭებმა ცხვირები ჩამოუშვეს. ერთმა პატარამ ტირილი დაიწყო.

— რა იყო, ბიჭო, რა გაღრიალებს!— საიდანღაც გამოჰსძახა მტირალს ვიღაც კაცმა.

— აი, ამ ბიჭმა კოჭები სულ მომიგო! ერთი კოჭი ჰქონდა, და სულ მომიგო!—უპასუხა მტირალმა ბიჭმა კაცსა.

კაცი ბიჭებთან მივიდა. ტიტოს გულმა უკბინა.

— შენ აქ საიდან მოთრეულხარ? რად მოუგე!—შეუბღვირა ტიტოს კაცმა.

— შენ რა გინდა? მე ვიცი და ამანა!—უპასუხა ტიტომ. კაცმა ტიტოს შეაგინა, თავში წაარტყა და კოჭები დააყრევინა. ტიტოს გული მოუვიდა—ეს რა წამოეჩხირაო,—და კაცს შეაგინა. კაცი დასაჭერად წასწვდა ტიტოსა, მაგრამ ტიტო მარდად გადუხტა, დასწვდა ქვასა, ერთიც შეაგინა და ესროლა. ქვა კაცს მხარში მოხვდა. კაცი გაბრაზდა, გამოუდგა ტიტოსა, დაიჭირა და უღმერთოდა ჰსცემა.

ტიტოს გული სიბრაზით აევსო, მიდიოდა, არ სტიროდა, მაგრამ თვალები წყლითა ჰქონდა სავსე. გუშინდელი და წუხანდელი ფიქრები ტიტოს ისევ მოადგა. დურგლის ბიჭი, შეგირდი, მამის ჯოხი, დედის წყევლა, გოგლო, დიდ სკოლაში რომ დადის, გუშინ ნატკენი ხელი და დასისხლიანებული ყური, დახეული ხალათი... ყველაფერი მოაგონდა. ისკი, რაც დილას გამოჰსცადა, წყლის პირად, სულ დაავიწყდა. ახლა სიცხეც უფრო აწუხებდა, გულიც უფრო სტკიოდა, ბედსაც უარესად ემდუროდა. მიდიოდა ტიტო, სახე ისე ჰქონდა დაღრეჯილი, თითქოს მთელი ქვეყნისთვის შეუფურთხებია და ახლა ზიზღით უცქერისო.

სადღაც ეზოში ისევ ის მეარღნე ისევ იმ გულ-საკლავ სიმღერებს აჭყვიტინებდა. ახლა ტიტო ამ სიმღერებს ღიღინით არ აჰყვა, გვერდით ჩაუარა იმ ეზოს და კედლებზე ხელის ხახუნით ნელა გასწია. წინ ერთი პატარა ფინია შემოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყარა. ტიტომ წიხლი ამოჰკრა და დაიღრიჯა. ფინრამ დაიკმუტუნა და გაიქცა. თითქოს ამ წკმუტუნმა ტიტოს გული დაუმშვიდაო, მის სახეს ზიზღი მოშორდა, მაგრამ გულში კი სიავე ისევ დარჩა.

ტიტოს პური შიოდა. ამდენ ხეტიალში რაც სჭამა— დიდი ხანია მოინელა და კუჭი ახალ საჭმელს ითხოვდა. საჭმელი-კი არსად იყო. ქუჩაში ტიტომ პაპიროზის ნამწვი იპოვნა. აიღო და პირში ჩაიდო; მერე უბიდან ასანთი ამოიღო, გაჭკრა, ნამწვს მოუკიდა და გააბოლა.

შინ წასვლა უნდოდა, პურის ჭამა, მაგრამ ეშინოდა:— ყველაფერს გაუგებდნენ: გუშინდელ ჩხუბსაც, დახეულ ხალათსაც, იმასაც, რომ დღეს გაიპარა და სკოლაში არ წავიდა. გულში თან ბოღმა ჰგროვდებოდა და შინ წასვლის ნებას არც ეს ბოღმა აძლევდა.

IV

ტიტომ თითონაც ვერ გაიგო, თუ როგორ გავიდა ამ ქუჩაზე, სადაც ის დიდი სკოლა იყო. გავიდა და ერთ სახლის კუთხეს მოეფარა იცოდა დრო, როცა გოგლო უნდა გამოსულიყო სასწავლებლიდან; ახლა სწორედ ის დრო იყო. ტიტო ჩაცუცქდა კედელთან და ლოდინი დაიწყო. ამდენი ხეტიალით ფეხებიც სტკიოდა და ხელიცა. იჯდა და ფიქრობდა. რაც დღეს თავს გადახდა, ყველაფერი მოაგონდა; მოიგონა დილანდელი მდინარეც. რა იქნება, ახლა იქ რომ წავიდეს, შესცურდეს შუა მდინარეში და ხელები ჩაუშვას!? მდინარე გადაატრიალებს. ერთხელ, გადაატრიალებს მეორედ, დასძირავს, ამოისვრის ზევით, ისევ დასძირავს, და მერე. მერე დააღრჩობს. მოკვდება ტიტო. მოკვდება ისე, როგორც შარშან ერთი კაცი მოკვდა, მდინარიდან მცურავებმა რომ ამოათრიეს: გალურჯებული, გასიებული. ტიტოსაც ისე დაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყებენ ნჯღრევას, როგორც იმ კაცსა, მაგრამ ვერ გააცოცხლებენ. მოვა დედა და იტირებს; მამაც მოვა და იტირებს. ტიტო-კი იქნება თავისთვის, ვერც ვერაფერს გაიგებს; იწვება რიყეზე დაჭყეტილი თვალებით; (იმ კაცსაც თვალები დაჭყეტილი ჰქონდა) ყველას დაუწყებს ცქერას: დედას, მამას, მცურავებს, ცას, მთელ ქვეყანას. ნეტა მაშინ დაინახავს ტიტო რასმეს თუ ვერა?!

მერე წაიღებენ სასაფლაოზე და დამარხავენ. მაშინ ყველაფერი გათავდება: სიმშილიც, ამ მუწუკის ტკივილიც, წყევლა—ჩქმეტაც, ცემაც, სწავლაც... გათავდება ყველაფერი, რაც ტიტოს ეჯავრება. და რა არ ეჯავრება ტიტოს? ტიტოს ყველაფერი ეჯავრება: მამაც, დედაც, აი ეს სახლებიც, ქალებიც, კაცებიც, ის მდინარე წყალიც, დილას შიგ რომ ცურავდა! ცურაობაც ეჯავრება ტიტოს, კოჭებიც! ვინ იცის-რა არ ეჯავრება ტიტოს? ყველაფერიც ეჯავრება. ჰო! როცა მოკვდება, ყველაფერი გათავდება. ასე ამბობენ დიდები. მაგრამ დიდებმა რა იციან? ისინი ხომ არ მომკვდარან?—გაიკვირვა ტიტომ.

— რა არის სიკვდილი?—ჰკითხა მან თავს, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. ვერ მიიღო ისევე, როგორც ვერ მიიღო პასუხი იმაზე, თუ რად არის „გაკეთებული“ ბაზარი, რად არის ჯარი! ვინ იცის, როდის გაიგებს ამეებს?

დიდი სკოლიდან ბავშვები გამოიშალნენ. ტიტო წამოდგა, წელში გასწორდა და სასწავლებელს ცოტა გასცდა. შორს დაინახა, რომ გოგლოს ამხანაგები მოსდევდნენ. ამიტომ ტიტო დაიმალა. უნდოდა გოგლო დაემარტოხელებინა. ახლა, როცა გოგლო დაინახა, დაინახა მისი სუფთა ტანისამოსი, ის წყენა, რაც წელან გადახდა—კოჭებისათვის რომ სცემეს, ისევ მოაგონდა და გული ისევ ბოლმით აევსო.

— დაიცა, შე ქეციანო, დაიცა!—ფიქრობდა გულში ტიტო.—თუ გუშინდელი ჯავრი არ ვიყარე!—თან საზრობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, თუ რა ადგილს და როგორ დაჰკრავდა გოგლოსა. ისე უნდა დაჰკრას, რომ დააჩნდეს, უნდა ყური დაუსისხლიანოს, ხელი გადუყვლიფოს, უნდა ისე სცემოს, როგორც მამა სცემს ხოლმე ტიტოსა.

გოგლომ გვერდით ისე ჩაუარა, რომ ტიტო ვერ შეამჩნია. ტიტოს გული აუკანკალდა. დაეწია, წინ გადუდგა და შეხედა. გოგლოს გული გაუქანდა: მიხვდა, რასაც აპირებდა ტიტო; გუშინდელივით თვალები ცრემლებით აევსო და გალაჯული დადგა. ერთ-ხანად ერთმანეთს უყურებდნენ. ჩუმად იყვნენ. ყველაფერი ის განმეორდა, რაც გუშინ მოხდა, ერთმანეთს უბანში რომ შეხვდნენ. ტიტოს რაღაცა უნდა ეთქვა, მაგრამ სიბრაზე ყელში მოაწვა და ენა ვერ დასძრა. მთლად გაწითლდა. რას იზამდა ტიტო, რამდენ ხანს იდგებოდნენ ასე— ვინ იცის, გოგლო რომ ერთბაშად და ჩუმად არ გაქცეულიყო. მაშინ-კი ტიტომ ერთი შეჰკივლა, შეიგინა და გაქცეულს გამოუდგა, დაეწია, ჩაავლო საყელოში ხელი და დასწია. გოგლო გაგორდა. ტიტო შეაჯდა ზედა და ცემა დაუწყო. გაშმაგებული სცემდა, სცემდა ზურგში, ბეჭებში, ჰსცემდა მაგრა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრამ არც ყური დაუსისხლიანა, არც ხალათი დაუხია.

გოგლო ჯერ ჩუმად იყო; მერე ღრიალი და ფეხების ქნევა დაიწყო. თითქოს ტიტოს მხოლოდ ეს უნდოდაო: რაკი გოგლომ ყვირილი დაიწყო, ტიტომ ცემას თავი დაანება, გოგლო ააყენა. მოშორდა და ნელა წავიდა. ახლა აღარც ზიზღი ჰქონდა ტიტოს გულში, აღარც ვისიმე წყენა უნდოდა. გათავდა ყველაფერი, და ტიტოს გულიც დაცარიელდა—შიგ აღარაფერი იყო.

ნელა მიდიოდა ტიტო კედელ-კედელ, ხელებს მიიქნევდა და სიმშილსაც-კი აღარა ჰგრძნობდა. მერე რაღაც სიმღერა დაიწყო. გოგლომ წიგნები აკრიფა და ცრემლ მორეული გზას გაუდგა. როცა ტიტომ დაინახა, გაულიმა; ამ ღიმილში ალერსიც იყო, დაცინვაც და ზიზღიცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა სადღა წასულიყო ტიტო? ამ ცემით თითქოს გათავდა მისი დღიური მოქმედება. ამიტომ ტიტო პირდაპირ თავის უბნისკენ წავიდა. როცა უბანს მიუახლოვდა, ერთი კიდევ მოიგონა განვლილი დღე: დილით ბანაობა, მერე რომ სცემეს, მერე თითონ რომ სცემა გოგლოსა! მოიგონა ეს ტიტომ, და გული ისევ დაუმძიმდა. თითონაც შენანდა, ასე რად მოვიქეცი, რადა ვცემეო. მერე ისიც მოაგონდა, რომ სახლში ახლა ადრე მიდის და მამა სცემს. თავისი გამარჯვება-კი ტიტოს აღარ ახარებდა, პირ-იქით—აბრაზებდა კიდეც, თითქოს ამ გამარჯვებას რაღაც აკლიაო. ახლა აღარ მოსწონდა თავისი საქციელი, ეჯავრებოდა კიდეც. თითქოს თავისი თავიც ეჯავრებოდა, ისიც ეჯავრებოდა, რომ დილას მეფურნეს ერთი ბლითი მოჰპარა, რომ წელან იმ ბიჭს ერთი კოჭით ოცდა-ათი კოჭი მოუგო, რომ დილას სკოლაში არ წავიდა.

ახლა ყველაფერი შესჯავრდა, შესჯავრდა ისე, როგორც წელან ქვეყანა შესჯავრდა, კედელთან რომ იყო ჩაცუცქული ბ გოგლოს უცდიდა. მხოლოდ წელანდელს ახლა თავის თავიც მიუმატა. ახლა თავისი თავიც ეჯავრებოდა, და უნდოდა ისე ყოფილიყო, რომ აღარაფერი გაეგო, აღარაფერი ეგრძნო,—წასულიყო მდინარეზე, შეცურებულიყო შიგა და ხელები ჩამოეშვა, რომ წყალს დაეღრჩო იგი, მერე იქიდან გალურჯებული ამოეთრიათ, მოსულიყო დედა და ეტირა, მერე წაეღოთ ტიტო სასაფლაოზე და დაემარხათ. უნდოდა ესა, მაგრამ ყველაფერი ეს შეუძლებელი იყო, და ამიტომ ტიტოს გულში მხოლოდ ჯავრი და ზიზღი ედგა.

ტიტო დაიღალა. იგი დაღალა ხეტიალმა, სიმშილმა, ამ ზიზღმა, ამ ჯავრმა. ამიტომ შინ წასვლა გადასწყვიტა. მაგრამ შინ რომ მივიდეს, მამა სცემს. ტიტოს შეეშინდა.

— არა, დეე დაღამდეს, სახლში ყველამ დაიძინოს, მერე წავალო, — ფიქრობდა ტიტო, მაგრამ გული სხვას ეუბნებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მცემს! რა ვქნა, მცემოს! — ჯიუტად სთქვა ტიტომ და სახლისკენ წავიდა. დალალულს, გაავებულს, ახლა ცემა აღარ აშინებდა.

ჭიშკართან რომ მივიდა, შეჩერდა.

— მამა ახლა შინ არ იქნება, — გაიფიქრა ტიტომ, — და დედა წყევლას დამიწყებს! — ტიტომ კარგად იცოდა, რომ როცა მამა სცემს ხოლმე, დედა აღარ იწყევლება. ამიტომ სახლში აღარ შევიდა და ჭიშკარიდან გამობრუნდა. — დეე ისევ მამამ მცემოს, ოღონდ დედა ნუ დაიწყევლება. დღეს შაბათია. საცაა მამა „აიშაბაშებს“ და მოვა შინა.

— მცემოს! მცემოს! — ამბობდა ღვარძლით სავსე და დაქანცული ტიტო. თან ქუჩაში წინ-და-უკან დადიოდა და იცდიდა, თუ მამა როდის მივიდოდა სახლში.

— მცემს! რა ვქნა, — მცემოს!..

ი. ტატიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გლეხის სიმღერა.

ვლავ გაზაფხული გვეწვია,—
აყვავდა არე-მარეო:
დღისით მზის სხივი გვინათებს,
ღამით—კაშკაშა მთვარეო.

აღზდექით, ამხანაგებო,
დროა გავიდეთ გარეო,—
შევებათ გლეხურ ულელში,
ოფლი დავღვაროთ მწარეო.

მინდორში მიწა მოგველის,
გულ-მკერდი დაუღაროთო;
ვენახში ვაზს მოუაროთ,
გავალაღ-გავახაროთო.

თოხი დავარტყათ ბოსტანში,
ბაღებსაც მოუაროთო;
წიდნა*) ჩავყაროთ ბაგაში**),
ზედ მიწა მივაყაროთო.

აღზდექით ყველას იმედნო,
აყვავდა არე-მარეო;—
დღისით მზის სხივი ქათქათებს,
ღამით კაშკაშა მთვარეო.

დ. ელიოზიშვილი.

---

*) ნასხლევი ვაზისა.

**) ახალ ჩაყრილი ვენახი.

მინიონა.

(შემდეგი.)

ნუ სტირი, პატარა ქალო!—ალერსიანად უთხრა ავგუსტმა. ნუ გეშინია, ჩვენ კარგად მოგექცევით. დედილო, დარჩეს ეს ბავშვი ჩვენთან,—სთხოვა ავგუსტმა დედას.

— გაჩუმდი, სულელო!—დაუყვირა ავგუსტს უფროსმა ძმამ ბრუნომ.—შენა გგონია—ფული არ დასჭირდება სხვისი შვილის შენახვას?! ჩვენ ამისთვის ფულებს არ დავხარჯავთ: არა, დედილო?—შემდეგ მიუბრუნდა მინიონას და დაუღრიალა:—რაღასა დგეხარ? გაეთრიე აქედან!—და უნდოდა ბავშვი გარედ გაეგდო, მაგრამ ამ დროს მამა სწვდა მას ქეჩოში:

— უსირცხვილოვ! ნუ თუ არ გებრალება ობოლი? ეკლესიაში წასასვლელად გამზადებულხარ და ასეთ უღვთო სიტყვებს გაიძახი. მოშორდი აქედან; შეევედრე უფალს, რომ შეგინდოს!

ამ სიტყვებით მამამ ბრუნო გარედ გააგდო.

— დამაცადე, შენ მათხოვარო! გადაგიხდი სამაგიეროს,—დაემუქრა ბრუნო მინიონას.

— შენ-კი,—მიმართა მებულკემ ცოლს,—განკარგულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა მოახდინე, თუ სად მოათავსონ ბავშვი ამაღამ. ობოლი აქ უნდა დარჩეს. ეს ჩემი საბოლოო გადაწყვეტილებაა.

— მაშ მინიონა სულ აქ იქნება?—მხიარულად ჰკითხა ავგუსტმა მამას.

— თუ სხვა ვინმემ არ წაიყვანა, სულ ჩვენთან იქნება,— მიუგო მამამ.

— მაშ სამუდამოდ?!—დაიყვირა დიასახლისმა და ისე წამოიჭრა სკამიდან, თითქო ნემსები ეჩხვლიტაო.—ერთი საათის წინ ამბობდი, რომ არჩენ აქ, სანამ თავშესაფარში მოათავსებდე; ახლა-კი ამბობ—სამუდამოდ აქ დარჩებაო?! ვხედავ—მე აღარაფრად მაგდებ ოჯახში. რასაც მიბრძანებ—უნდა ავასრულო, რაღა? შენთვის სულ ერთია, ჩვენ ბავშვებს მოაკლდება რამე, თუ არა? ანა გგონია—ობლის აღზრდა ცოტა დაჯდება? სწავლის ფული, ტანისამოსი, ჭამა-სმა—ყველაფერი ეს ციდან ხომ არ ჩამოცვივა?

განრისხებული დედაკაცის ყვირილი და საყვედური თანდა-თან მატულობდა. მან შეაქცია ქმარს ზურგი და მოჰყვა ფანჯარაზე თითების ბრახუნს.

— ნუ სწუხარ!—მიუგო ქმარმა:—ეს ჩემი საქმეა. პური სახლში სამყოფად გვაქვს; დანარჩენზეც მე ვიზრუნებ. მოდი ჩემთან!—მიუბრუნდა ის მინიონას და მოჰკიდა ხელი:—შენ დარჩები ჩვენსა. თქვენ-კი, შვილებო, კარგად მოექეცით ამ ბავშვს. გახსოვდეთ, რომ მას არც მამა ჰყავს და არც დედა. თქვენ დედ-მამა გივლის; ამისთვის მზრუნველი-კი არავინაა.

ავგუსტი ელვის სისწრაფით წამოხტა და თვის სკამთან მეორე სკამი მიდგა.

— მოდი, დაჯექი ჩემთან!—უთხრა მან მინიონას.—თვითონ დაჯდები, თუ მოგეშველო?

ავგუსტი ისე ექცეოდა მინიონას, როგორც უმცროსს; უნდოდა ყველასთვის დაენახვებინა, რომ ის ზრუნავს ახლად აცნობილ მეგობარ ქალისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უყურე, მამა, რა პატარაა მინიონა: მაგიდის სიმაღლე არც-კია. ჩემზე ბევრად პატარაა. არა, მამილო?

მამამ ალერსით გადაუსვა შვილს თავზე ხელი და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

ცოლი სდუმდა. სხვას რომ ვერაფერს გახდა, აიღო წინდა და ფაცა-ფუცით დაიწყო ქსოვა. როცა ქმარი ოთახიდან გავიდა, ჯავრი მრეცხავზე ამოიყარა.

— ეს სულ თქვენ მომიხერხეთ, თქვენ! თქვენის წყალობით უნდა ვიტანჯო.

მრეცხავი იდგა და ვერ გადაეწყვიტა, თუ როგორ მოქცეულიყო. წაეყვანა ბავშვი—სად უნდა მოეთავსებინა? ბოლოს, რაკი დარწმუნდა, რომ სხვა გზა აღარ იყო, გამოეთხოვა მინიონას, რომელიც კიდევ უფრო შეაყვარა ამ შემთხვევამ, და გულ-დაკოდილი გავიდა ოთახიდან.

შიშისაგან გაფითრებული მინიონა სკრიპკით ხელში იჯდა ავგუსტის გვერდით და გაშტერებული შეჰყურებდა უცხო ადამიანებს.

— გინდა, აი, ამ სურათს გაჩუქებ,—უთხრა მას ავგუსტმა, მაგრამ მინიონამ ხმა არ გასცა. უძრავად იჯდა და გასცქეროდა კარებს, საიდანაც მრეცხავი გავიდა: ეგონა—მისი კეთილის-მყოფელი ადამიანი დაბრუნდებოდა, მაგრამ ის აღარ—სად სჩანდა.

ბავშვმა ველარ მოითმინა და ტირილი წასწყდა.

— გამიშვი!—სთხოვა მან ავგუსტს:—არ მინდა აქ დარჩენა.

— ეს როგორ შეიძლება. შენ აქ უნდა დარჩე!—ამშვიდებდა ავგუსტი მინიონას;—ჩვენ სულ შენთან ვითამაშებთ. გინდა—სურათებიანი წიგნი გაჩვენო?

— ახლავე შეუდექი გაკვეთილების მომზადებას,—დაუტატანა ავგუსტს დედამ.

მინიონას შიშისაგან გააჟრჟოლა. ავგუსტი ადგა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწყო სწავლა, მხოლოდ, მოარიდებდა თუ არა დედას თვალს, გადახედავდა მინიონას, რომელიც გაშტერებული შესცქეროდა ბოროტ ქალბატონს.

— აბა აქ მოდი!—მოულოდნელად უთხრა მებულკის ცოლმა მინიონას:—შენი სახელი?

ბავშვი იდგა უძრავად და პასუხს არ იძლეოდა.

— მინიონა!—მიუგო მინიონას მაგიერ ავგუსტმა.

— შენ არ გეკითხები! თვითონ მიპასუხოს: უენო ხომ არ არის? აბა, მიპასუხე ჩქარა!—ჩასციებოდა დედაკაცი საბრალო ობოლს.

— მინიონა, — წაიჩურჩულა ბავშვმა ძლივს გასაგონი ხმით.

— რაო! მინიონა?— და წასქდა სიცილი.

— უმჯობესი იქნებოდა მამაშენს ფული დაეტოვებინა შენთვის, ვიდრე ასეთი დიდი სახელი. ჩვენსა შენ დაგიძახებენ მინუას. ისეთი მთხოვარასთვის, როგორიც შენა ხარ, მინიონა არ არის შესაფერი.

მინიონა სტიროდა.

— რა გაღრიალებს!—დაიყვირა უცბად დედაკაცმა და საქსოვი წინდა შორს გადაისროლა.—მაცოფებს შენი ცრემლები! თუ ახლავე არ გაჩუმდები, დაგამწყვდევ!

დიდხანს იყვირებდა კაპასი დედაკაცი, რომ ერთ გარემოებას არ შეეშალა ხელი. კურტი უცბად ეცა ხელში მინიონას, გამოსტაცა სკრიპკა და დაუწყო უთავბოლოდ ჟღარუნი. ბავშვი წამოიჭრა სკამიდან ჯ შეეცადა სკრიპკის წართმევას.

— ეს სკრიპკა ჩემია: მამილომ დამიტოვა!—ყვიროდა მინიონა თავდავიწყებით.—არ მოგცემ დაკვრის ნებას: მომეცი!

ბოროტ კურტს სიცილადაც არ ყოფნიდა მინიონას თავ-გამოდება. რომ უფრო გაებრაზებინა, ასწია სკრიპკა მაღლა და ეუბნებოდა: „აბა, მინუა! შესწვდი!“ ჯ როცა შეა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატყობდა, ახლა-კი სტაცებს ხელსო, მაშინვე უფრო ზევით ასწევდა. ბოლოს ავგუსტი მიეშველა მინიონას და გაიმართა ჩხუბი. დიასახლისი მიიჭრა ბავშვებთან და სკრიპკა წაართვა.

— როგორა ბედავ სხვის ოჯახში ჩხუბს?—უყვიროდა დედაკაცი მინიონას—ა—ა, შე უზდელო, შენა! დადექ ახლავე კუთხეში! იდგები, სანამ თორმეტი საათი არ შესრულდება. თქვენ კი მიუბრუნდით ისევ გაკვეთილებს. ვინც დასჯილს ხმას გასცემს, უსადილოდ დარჩება!

ავგუსტმა ქურდულად გადახედა საათს და გამოიანგარიშა, რომ თორმეტ საათამდე მთელი ნახევარი საათი იყო დარჩენილი.

მინიონას არასოდეს არ უგრძნია თავი ასე უბედურად. ამდენი ტანჯვა და დამცირება ველარ დაიტია მისმა პატარა გულმ: იდგა კუთხეში და იმეორებდა: „ძვირფასო მამილო! რატომ თან არ წამიყვანე? შენთან ყოფნა მინდა! არ მასვენებენ; შენი დატოვებული სკრიპკა წამართვეს! მიშველე რამე, შენი ჭირიმე!“

განრისხებულმა დიასახლისმა მონახა გასაღებები, აიღო სკრიპკა და ოთახიდან გავიდა. ავიდა ჭერში, ახადა დიდი ყუთი ⁄ დამალა იქ სკრიპკა—ეს მინიონას ერთად-ერთი ნუგეში.

კიბის ქვეშ გაკეთებული იყო პატარა, ბნელი ბურული, სადაც ინახებოდა ძველი დამტვრეული და გამოუსადეგარი ნივთეულობა. როგორც მაგალითად: სკამები, ჩარჩოები, საყვავილე ქოთნები, ტახტები და სხვა. აი, ამ ბნელ ბურულში გადასწყვიტა დიასახლისმა მინიონას მოთავსება. შეაღო კარები, გამოათრია ნივთებიდან დაჟანგებული ძველი რკინის საწოლი, რომელზედაც დააგდო ბურულშივე ნაგდები თივის ლეიბი. კალათიდან ამოათრია თხელი ძველი საბანი და დააფარა ლეიბს. ბალიში და თბილი საბანი ზედმეტად ჩასთვალა ქალბატონმა. „ლატაკს აწყენს სინებივრე. ამ ობოლს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ არაფერი აბადია, უპატრონოა. უნდა იმუშაოს მოუსვენრად, სანამ ხელები არ ასტკივა მუშაობისაგან,"—ამბობდა თავისთვის მებულკეს ცოლი. მორჩა საქმეს და ჩავიდა სამზარეულოში.

— ქრისტინე! გადაიტანე ობლის ნივთები ბურულში. მისი ბინა იქ იქნება. მიეცი ცოცხი და უთხარი დაგავოს იქაურობა. დღეიდან შენ იქნები მისი ყურის მგდებელი, გესმის!?

— ბურული სავსეა თაგვებით; თივის ლეიბი სულ დაუგლეჯიათ,—უთხრა მოსამსახურემ ქალბატონს.

— როგორც გეუბნები, ისე უნდა იყოს!—შეუტია ქალბატონმა.—დიდი კაცის ქალი არ ბრძანდება: შეეჩვევა! როცა დაწვება, თაგვებიც დაფრთხებიან.

ქრისტინეს აღარაფერი უთქვამს, მაგრამ ნაღვლიანად კი გაიქნია თავი.

V

ქ რ ი ს ტ ი ნ ე.

შესრულდა თორმეტი საათი. ბავშვებმა მეცადინეობა შესწყვიტეს. სამზარეულოდან გამოვიდა ქრისტინე და სუფრის გაშლას შეუდგა.

— დედა! ნახევარი საათი გავიდა: მინიონას შეუძლია მოშორდეს კუთხეს?—სიხარულით უთხრა ავგუსტმა დედას.

— მინიონა-კი არა, მინუა,—გაუსწორა დედამ. შემდეგ მიუბრუნდა ბავშვს:—წადი სამზარეულოში,—იქ არის შენი ალაგი. აქ შეგეძლება შემოსვლა მხოლოდ, როცა დაგიძახებენ: უნდა გახსოვდეს, რომ ჩვენს ოჯახს არ ეკუთვნი!

— არა,—გამოესარჩლა ობოლს მებულკე:—მე არა ვარ თანახმა. ეს ბავშვი წევრია ამ ოჯახის; მაშასადამე, აქვს ისეთივე უფლება, როგორც ჩვენ ყველას; ეგეც ჩვენთან ისადილებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტინემ მოამზადა ალაგი მინიონასთვის ბრუნოსა და ავგუსტის შუა.

— აი, აქ დაჯექი!—უთხრა მებულკემ მინიონას:—ეს იქნება შენი სამუდამო ადგილი.

— თანდათან უარესი: აბა სად გინახავთ, რომ მათხოვარი ბატონთან ერთად სადილობდეს?—სთქვა გულ-დაწყვეტილმა ქალბატონმა.

ნიშნად თანაგრძნობისა ბრუნომ დედას ხელი წაჰკრა. მამას-კი მოარიდა თუ არა თვალი, გამოსაჯავრებლად დაეღრიჯა. ბრუნო ყველას ასე აჩვენებდა თავს, თითქო არ უნდა მინიონას ახლო მიეკაროსო. ნამდვილად-კი ისე მაგრად წაჰკრა ქუსლი, რომ ბავშვს უნდოდა დაეკივლა, მაგრამ ბრუნოს მრისხანე გადახედვამ ენა მუცელში ჩაუგდო: შიშმა დაამუნჯა.

— სჭამე!—უჩურჩულებდა მეგობარს ავგუსტი, მაგრამ მინიონა არასა სჭამდა.

ნასადილევს ქრისტინემ წაიყვანა მინიონა ბნელ ბურულში და აუხსნა, თუ როგორ უნდა დაელაგებინა იქაურობა. ავგუსტს უნდოდა გაჰყოლოდა მათ, მაგრამ დედის ეშინოდა და ველარ გაბედა. ბრუნომ-კი დაცინვით მიაძახა მიმავალ მინიონას:

— ნახე, თუ იქ თაგვებმა არ დაგჭამონ!

მინიონა შევიდა ბურულში და აღარ იცოდა, რა ექნა.

— დაგავე აქაურობა, და მეც ჩქარა მოვალ,—უთხრა მას ქრისტინემ.

ბავშვი შეუდგა საქმეს, მაგრამ ცოცხი იმოდენა გამოდგა, რომ თავისი პატარა ხელებით ვერ დაიმორჩილა: ხან რას წამოსდებდა და ხან რას; ბოლოს ისე დაიღალა, რომ ცოცხი ხელიდან გაუვარდა, ჩამოჯდა სამფეხა სკამზე და ცხარე ცრემლები წასკდა.

აღარ ვიცით, რამდენხანს იტირა მინიონამ, რადგანაც ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტირილში ჩასძინებოდა. ქრისტინემ მხოლოდ საღამოს იშოვა თავისუფალი დრო, რომ ბავშვთან ასულიყო. მანამდის-კი არავის უფიქრია საბრალო მინიონაზე: ბავშვები მამამ წაიყვანა სასეირნოდ; მებულკის ცოლს-კი, მინიონა კიდევაც რომ მომკვდარიყო, არ ეწყინებოდა.

ქრისტინემ გააღვიძა მძინარე ბავშვი და წაიყვანა თავისთან სამზარეულოში, დაუდგა სკამი და დასვა ცხელი ფეჩის ახლო. მინიონა ისე გაციებულიყო ბნელ და ცივ ბურულში, რომ მოძრაობა აღარ შეეძლო.

— აგრე, მინიკო: გათბი კარგად და შემდეგ ყავა დალიე ბულკით. დღეს ხომ არა გიჭამია რა.

ალერსიანმა სიტყვამ და კეთილმა მოქცევამ წაათამამა მინიონა. ქრისტინე სიამოვნებით უცქეროდა ბავშვის მადიან ჭამას.

ვახშმად მინიონა ისევ შეიყვანეს ბატონების ოთახში, მაგრამ კიდევ არა უჭამია რა. ისე ეშინოდა ქალბატონისა და ბრუნოსი, რომ განძრევასაც ვერ ბედავდა. კეთილ ავგუსტსაც-კი ველარ უყურებდა ნდობით.

— ახლა-კი წადი და დაიძინე, მინუა!—უთხრა მებულკის ცოლმა ბავშვს ნავახშმევს.—დილით ადგები ექვს საათზე და უშველი ქრისტინეს წაღების გაწმენდაში. ზარმაცი ჩვენთვის არაა საჭირო. სანთელი არ აანთო: ბნელაშიაც იოლად წახვალ!

— ახლა-კი უსათუოდ შეგჭამენ თაგვები,—აბრაზებდა ბრუნო მინიონას. მამა არ იყო ოთახში და ის თავისუფლად დასცინოდა საბრალო ობოლს.—ობობები კიდევ ცხვირ-პირში შეგიძვრებიან... ხა, ხა, ხა, ქალბატონო მესკრიპკევ: საუცხოვო ბინა გაქვთ, საუცხოვო!

ამ სიტყვების გამგონე ავგუსტი შიშმა აიტანა.

— დედა! გააცილოს ქრისტინემ მინუა ლამპით, თუნდა დღეს მხოლოდ, დედილო! კიბეზე ისე ბნელა, ისე რომ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაჩუმდი! მარტოც კარგად წავა; მოსამსახურე მაგისთვის არ არის დაჭერილი! — შეუტია დედამ ავგუსტს.

მინიონა წავიდა მარტო. შიშისაგან აკანკალებული იდგა ის კიბეზე და არ იცოდა-რა ექნა, მაგრამ ამ დროს მასთან გაჩნდა ქრისტინე; ჩაჰკიდა ბავშვს ხელი და შეჰყვა კიბეს. წარმოიდგინეთ მინიონას განცვიფრება, როცა მან ბნელი ბურულის მაგივრად თავი ამოჰყო ჰატარა, სუფთა და კოხტად მორთულ ოთახში. ყველაფერი ისეთ რიგზე და გემოზე იყო დალაგებული, რომ გულს სიამოვნებას ჰგვრიდა. ერთ მხარეზე იდგა ტახტი სუფთა ლოგინით და ჭრელ-საფარიანი კამოდი, რომელსაც ამშვენებდა რამდენიმე ფოტოგრაფიული სურათი. მეორე მხარეს მოთავსებული იყო ღუმელი და მის შორი-ახლო მინიონასთვის გამზადებული ლოგინი.

რომელმა კეთილმა სულმა გადმოიტანა ეს ლოგინი ბნელ და ცივ ბურულიდან? — მკითხავთ თქვენ. ეს კეთილი სული გახლდათ მებულკეს მოსამსახურე-ქალი ქრისტინე, რომელსაც ეკუთვნოდა ზემოდ-აღწერილი კოხტა ოთახი. სანამ ბატონები ვახშმობდნენ, ის ჩავიდა ბურულში და გადაიტანა თავის ოთახში ლოგინი.

— როგორ შეიძლება ბავშვის აქ მარტოკა დატოვება? ხომ გაგიჟდება, როცა თაგვები მოჰყვებიან ხრიკინს ღამე? — ეუბნებოდა ქრისტინე მრეცხავს, რომელსაც მდიდარ ნაცნობებში საბავშვო ტანისამოსი და სხვა ნივთები შეეგროვებინა და სალამოზე შემოიარა ქრისტინესთან.

— ჩემს ოთახში უნდა გადავიყვანო, — უთხრა ქრისტინემ მრეცხავს.

— ქალბატონმა რომ გაიგოს?

— ვერ გაიგებს: იშვიათად შემოდის ჩემთან. თუმც გაიგოს, მე მაინც არ მეშინია: ვიქცევი ისე, როგორც მეუბნება სინიდისი და ღმერთი.

ქრისტინემ უშველა ტანზე გახდა მინიონას და ჩააწვინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოგინში, რომელიც არა ჰგავდა ქალბატონისაგან ბურულში გაშლილ ლოგინს. ლეიბზე ეგო თოვლივით თეთრი ზეწარი; თავით—სუფთა ბალიში და სახურავად სუფთა და თბილი საბანი ჰქონდა.

ყველაფერი ქრისტინეს დედისაგან ჰქონდა დატოვებული და ხელ-უხლებლად ინახავდა სუფთა სკივრში. არც სჭირდებოდა, რადგანაც ბატონთაგან მიცემულ ლოგინში ეძინა.

— ახლა-კი, მინიკო, ილოცე და დაიძინე. ხომ იცი ლოცვა?— უთხრა მან ბავშვს.

მინიონამ დაიწყო გულზე ხელები და შეუდგა ლოცვას, როგორც მამის სიცოცხლეში იცოდა ხოლმე. ჩვეულებრივ ლოცვას მან დაუმატა შემდეგი ღრმა-აზრიანი და გულის სიღრმიდან ამოკვნესილი სიტყვები:

— უფალო! დამიბრუნე საყვარელი მამა და სკრიპკა; ამინ!..

— დაიძინე მშვიდად და უდარდელად, ჩემო პატარავ!— ალერსიანად უთხრა ობოლს ქრისტინემ—ჩქარა მეც დავწვები. მხოლოდ გახსოვდეს: არავის უთხრა, რომ ჩემთან გძინავს. ავგუსტსაც-კი არ უნდა უთხრა, განა! ხომ გესმის?

ქრისტინემ დედისებური მზრუნველობით დახურა ბავშვს და ჩავიდა სამზარეულოში, საცა ჩვეულებრივი მოწყენილობითა და დაღრეჯით შეუდგა მუშაობას. ვინ დაიჯერებდა, რომ ამ უბრალო ადამიანმა სულ რამდენიმე წამის წინად ჩაიდინა ისეთი კეთილი და კაცთ-მოყვარული საქმე?..

გ. ლ—ძე.

(შემდეგი იქნება).

ძვირფასი ნადირი.

(შემდეგი).

ზიდე უფრო დამშვიდებული სახე მიიღო მდინარის პირად მიდამომ ბარალტაის წასვლის შემდეგ: აღარ ისმოდა მისი ველური სიმღერა. ურასისთან ცხელ მზეზე ტიტველა ბავშვები ცელქობდნენ პაწია ნადირებსავით; დედა-კი მუშაობდა კერასთან. ირმები საძოვარზე იყვნენ. ღამ-ღამობათ სამარისებური სიჩუმე იდგა მდინარის პირად მიდამოებში და სქელი ჯანყი აწვებოდა თვალ-უწვდენ მინდვრებს. ბარალტაი-კი ვერაფერს ხედავდა; ის შორს იყო და იმის თვალწინ სხვაგვარი ლამაზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათები იშლებოდა: გარშემორტყმოდა პირქუში, შავ-ბნელი, საშიში, ძლევა-მოსილი ტაიგა, ზღაპრული იდუმალებით სავსე.

აქ ის თითქოს ტაძარში გრძნობდა თავს. მხიარული მღერა არ შეიძლება, რადგანაც ტაიგა ავი სულებით სავსეა; გაიგონებენ სიმღერას, გაბოროტდებიან და რამე უბედურებას დააატეხენ თავს: ან ცეცხლს გაუჩენენ ტყეს, ან მხეცს შეახვედრებენ, ან თოფი აღარ რდებ ;გავა დაფრთხება კაცი, ხელები აუკანკალდება... ამიტომაც მიდის ბარალტაი ნელა, ჩუმად, ისე, როგორც ტაიგაში ნადირი და, როგორც ნადირი, ბრალტაიც დიად ტაიგას ნაწილი, მასთან შეზრდილი გეგონებათ. სიარულის დროს კვნეტს ტყვიის ნატეხს და პაწაპაწია ნამცეცებიდან აკეთებს თოფისათვის პაწაწინა ტყვიის სორსოლებს. გვერდით ფრთხილად, ჰაერის სუნვითა და დაკვირვებით, მისდევს ძაღლი. მიდიან და მიდიან ტყეში, ეძებენ ნადირს. სად მიდის ბარალტაი, თვითონაც არ იცის. ამ ტაიგაში არასოდეს არ ყოფილა, მაგრამ კარგად იცის, რომ გამოვა ათას ვერსზე გადაჭიმულ ველურ ტევრიდან ტყუილად კი არ არის იგი ტაიგას შვილი—ნამდვილი ტუნგუსი: ყველგან გაიკვლევს გზას და მშვიდობით გამოვა. იგი შორიდან, თავის ურასიდან ხედავდა, საით მიდიოდა ტაიგა, სად იყო ხრამები, სად იკრიბებოდა ჯანყი, და ახლა მგზავრობის დროს უყურებს მზეს, თავის ლანდს, აკვირდება ხეებზე ხავსს ან იმას, თუ რომელ მხარეს არის დახრილი შტოები. იცის, საით და საიდან ქრის ქარი, საით ხრიან ხეები თავიანთ კენწეროებსა და შტოებს. არაფერი არ გამოეპარება იმის თვალს, რადგანაც იმას, როგორც თავის შვილს, არაფერს უმალავს ტაიგა და ელაპარაკება მხოლოდ მისთვის გასაგებ ენაზე.

როდესაც ვარსკვლავები გამოჩნდება, ბარალტაიამ იცის იმათი გამოცნობა: იცის—საიდან მოდის თვითონ, საით მიდის,—იცის ყოველთვის რა დროა, დღეცა და ღამეც. თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის შემდეგ ის სტოვებს იმის გამოსაცნობ ნიშნებს, თუ რა მხრისაკენ გაემართა. ვინ იცის, რა მოხდება: რამე უბედური შემთხვევა—ცეცხლი, ავადმყოფობა, მხეცი დაეცემა; ან შეიძლება ვისმეს დასჭირდეს და მოძებნოს; როგორ შეიტყობენ, საით წავიდა ბარალტაი? აი რისთვის სტოვებს იგი ნიშნებს ხეებზე. ზოგს დააჭდევს, ზოგზე ნახატს გამოსჭრის, ზოგს შტოს მოსტეხს, ან მიწაში ჭოლოკს ჩაარჭობს, გზის საჩვენებლად. ადამიანი ყველაფერს მიხვდება.

ღამე ცეცხლს აჩაღებს სვამს ცხელ ჩაის ან ჭამით-კი სჭამს, რაც მოხვდება: შემწვარ ფრინველს, ბალახს და სხვადა-სხვა ფესვებს. ფრინველი ტაიგაში ბევრია. პირველ ღამესვე ბარალტაიმ მიირთვა შემწვარი კაკაბი. ცოლშვილის შესახებ თავს აღარ იწუხებდა: თავს გაიტანენ. რომ დაბრუნდება, მაშინ დახოცს ფრინველებს და წაიღებს შინ; ახლა კი უფრო დიდი საქმე აქვს: ახლა უნდა იპოვოს დიდი ნადირი, რომ სამაგიეროდ ბევრი-ბევრი საქონელი მიიღოს.

დიდი ნადირი მართლაც შეხვდა ბარალტაის. მართალია სიდიდით პაწია მხეც ციყვზე პატარა იყო, მაგრამ ძვირფასი მხეცუნა-კი იყო. ეს იყო სამური. მართალია შემოდგომის, რბილი, ფუშფუშა, ძვირფასი ბეწვი არა ჰქონია: ზაფხულისა ემოსა; მაგრამ ამის ფასადაც ბევრ საქონელს მისცემდნენ. ბარალტაის გამჭრიახმა თვალმა შენიშნა ხის ფოთლებში თითქმის უჩინარი ცხოველი, სწორედ იმ დროს, როდესაც ძაღლმაც იგრძნო იმის სიახლოვე და გაჩერდა. სამურმაც შენიშნა მტრები, გადახტა ხიდან ხის კენწეროზე და მიიმალა სადღაც შორს, ხშირ ფოთლებში. მაგრამ ამაოდ ცდილობდა დამალვას. რამოდენიმე წუთის შემდეგ ძაღლი უკვე იდგა იმ ხის ძირას; მონადირე-კი უახლოვდებოდა საოფე მანძილზე და არჩევდა მოხერხებულ ადგილს, სადაც ხის შტოები არ დაუშლიდა, რომ ჩასაფრებულიყო და ესროლა. სამური ისევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავიდა ხტუნაობით. მტრები გამოუდგნენ. შეშინებული მხეცუნა ამაოდ სცდილობდა დამალვას: იმას ყოველგან პოულობდნენ ⁄ სდევნიდნენ. ამ დევნაში გავიდა მთელი დღე. დაღამდა, მაგრამ ბარალტაიმ ხელთ ვერ იგდო ძვირფასი ცხოველი. ეჭვი-კი არ ჰქონდა, რომ სამური ბოლოს-და-ბოლოს მისი იქნებოდა. მხოლოდ ერთი-კი დაინახოს მონადირემ სამური და თუნდაც ერთი კვირა დევნა მოუნდეს, ცხოველი მაინც მისი იქნება. დამშვიდებით ივახშმა ბარალტაიმ, დაიძინა და დილით, ინათლა თუ არა, გაიღვიძა ყოჩაღად, რწმენითა და იმედიანი გულით, დალია ჩაი, ამოფხაჭნა სამურის ტლანქი სურათი ხის ქერქზე, დაჰკიდა ხეზე შესამჩნევ ადგილას, ჩაარჭო მიწაში ჭოლოკი.

ყველაფერი აღნიშნა: აღნიშნა, რომ სამურს სდევნის; საით მხარეს—უნდა შეხედო ჭოლოკს, საით არის დახრილი, და იქით ეძებე. შემდეგ ბარალტაი ისევ წავიდა სამურის საძებრად.

მტრებისაგან მთელი დღე დევნილ-დაღლილ საბრალო მხეცუნას შორს არ შეეძლო გაქცევა და იქავე მახლობელ ხეზე მშვიდად ეძინა თავისთვის. ძაღლმა ჩქარა იპოვა და ისევ გამოუდგნენ. მხეცუნამ ვერც-კი მოასწრო გემრიელი ფრინველი დაეჭირა და ესაუზმა, რომ კუჭ-ცარიელს ისევ უნდა ეხტუნა ერთი ხიდან მეორეზე. მტრები შეუსვენებლივ სდევდნენ და კარგად იცოდა, რომ სიცოცხლეს გამოასალმებდნენ. ხედავდა მტრების ვერაგობას, გზას უბნევდა: მიჰყავდა ხან წინ, ხან უკან; მაგრამ ბარალტაი ფრთხილი იყო: მზეს შესცქეროდა, და ყოველთვის იცოდა—რა ადგილას იყო. ძნელი იყო იმისი გზა-კვალის დაბნევა. დევნაში გავიდა კიდევ მთელი დღე. უწყალო მდევრები არ ეშვებოდნენ მხეცუნას; მხეცუნა-კი არ უშვებდა იმათ ახლოს: დაღლილ-დაქანცული, მშიერი ხტუნავდა ხიდან ხეზე. დაღამდა. ნადირობით ერთობ კმაყოფილმა, გამარჯვებაში დარწმუნებულმა ბარალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაიმ გააჩალა ცეცხლი, დალია ჩაი და დაიძინა. დილით-კი ისევ დასტოვა თავისი ნიშანი სამურის სურათითა და ჭოლოკით და ისევ გამოუდგა ძვირფას ნადირს.

სანამ ბარალტაი ტაიგაში დასდევდა ძვირფას ცხოველს, მის ოჯახში შემდეგი ამბავი მოხდა:

ბარალტაის წასვლის შემდეგ, მეორე დღეს, მდინარეზე ორი ერთი-მეორეზე მიკრული დიდი ტივი გამოჩნდა. ტივებზე გძელ-წვერიანი ადამიანები ისხდნენ. ისინი ტაიგაში მოსიარულე ვაჭრები იყვნენ, ტუნგუსებისაგან ბეწვიან ტყავებს ყიდულობდნენ.

დაინახეს თუ არა ნაპირას ურასი, ტივები იქვე მოაყენეს.

— ვისი ურასია?—იკითხეს იმათ.

— ბარალტაის,—მიუგო დიასახლისმა.

— ბარალტაი აქ არის?—კარგი ბარალტაი, ჭკვიანი კაცი, ლამაზი კაცი! სად არის ბარალტაი?

— სანადიროდ წავიდა.

პირველად ტუნგუს ქალს შეეშინდა. თუმცა ელოდა ვაჭრებს, მაგრამ მაინც ეშინოდა იმათი. ოჯახის უფროსი არ არის. რა ქნას?

მაგრამ ვაჭრები გამოცდილნი იყვნენ. ისეთი კეთილი გულისანი სჩანდნენ და ალერსიანად ლაპარაკობდნენ დამტვრეულ ტუნგუსურ ენაზე; ისე მეგობრულად უცქეროდნენ ქალს, რომ მან გაბედა და დაუწყო ლაპარაკი.

— რა გქვია შენ, ლამაზო?

— ალანმურ,—მიუგო ქალმა.

— აბა, რა გინდა, ლამაზო: აიღე ყველაფერი; შენისთანა ლამაზ, კარგ ქალს უთუოდ ბევრი რამ სჭირია: ფქვილი, ბრინჯი, თოფის წამალი, არაყი; ცოდვა არ იქნება—შიმშილით მოკვდე; ჩვენ ძალიან დაგვნანდები და ვიტირებთ. აბა გვაჩვენე ბეწვიანი ტყავები, ალანმურ, და სამაგიეროდ, რაც გსურს, ის გამოგვართვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოატყუა ვაჭრების ცბიერმა სიტყვებმა საბრალო ველური ქალი. პირველად გაიგონა—ლამაზი ხარო და დაიჯერა. ეს გრძელ-წვერა ხალხი იმის გულისათვის იტირებს, რომ შიმშილით მოკვდეს; ამ ფიქრზე თვითონაც კინაღამ ატირდა. შიმშილით-კი ადვილი შესაძლებელია მოკვდეს, რადგანაც აგერ ორი დღეა არაფერი უჭამია. ვინ იცის როდის დაბრუნდება ბარალტაი. შეიძლება ერთი კვირაც გავიდეს; ვინ იცის, იქნება მხეცმა შეჭამა... ხოლო, თუ დაბრუნდა, როგორ გაეხარდება, როცა ყველაფერი დახვდება!..

ვადასწყვიტა ალანმურმა ეჩვენებინა ვაჭრებისათვის თავისი სიმდიდრე.

დიდი არ იყო ეს სიმდიდრე: ორი ირმის ტყავი, სამი მელიისა და რამოდენიმე ათეული ციყვისა. დაათვალიერეს ვაჭრებმა საქონელი.

— აიღე, ლამაზო, რაც გსურს, რამდენიც გინდა,—უთხრეს ვაჭრებმა. „ლამაზს“ თვალები აუჭრელდა, როცა გაშალეს საქონელი. არ იცის, რა აიღოს, და საჭირო-კი ბევრი რამ არის. ჩაუყარეს ერთი ტომარა ფქვილი, ბრინჯი, მარილი, ჩაი.

— თოფის წამალი მჭირდება ქმარისათვის, თამბაქო, არაყი.

ვაჭრები შეეყუმანდნენ.

— ბევრია, ლამაზო, მაგრამ, როგორ სთქვი,—შენი ქმარი სანადიროდ წასულია?

— დიახ, სანადიროდ წავიდა და ჩქარა დაბრუნდება.

— მაშ, აიღე ყველაფერი, რაც გჭირდება, და უკან რომ გამოვბრუნდებით, ბარალტაი გადიხდის ვალს ახალ—მოტანილი ტყავებით. ბარალტაი კარგი კაცია, ბარალტაი ლამაზია. აიღე, აიღე!

გამოართვა ალანმურმა, რაც საჭირო იყო: ახალი ჩაიდანი, არაყი, თამბაქო და ყოყმანობდა კიდევ რა აეღო? რა კეთილია ეს ვაჭრები!. რამდენი საქონელი გამოართვა: უთვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავ-უანგარიშო! და ისინი კიდევ იძლევიან. უცებ თვალები ბლითებიან გაღებულ ყუთზე შეაჩერა. თეთრი ხმელი ბლითები მომხიბლავად ბზინავდა მზეზე; შესახედავათაც ისეთი გემრიელი სჩანდა, რომ ალანმურს პირზე ნერწყვი მოადგა. მაგრამ გაიმეტებენ-კი ვაჭრები ამისთანა მშვენიერ რამეს? ყოყმანით მივიდა ყუთთან და ერთ ბლითს ხელი შეახო.

— აიღე, აიღე, მშვენიერო; ქმარი მერე გადაიხდის.

ალანმურმა ამოარჩია თავისთვის რამოდენიმე ასხმა ხმელი ბლითები და მეტი აღარაფერი უნდოდა. ყველაფერი ბლომად აიღო. ბლითები ხომ არის, და სხვა რაღა უნდოდა. შეიტანა თავის ნავაჭრი ურასში; ვაჭრებმა შეინახეს ტყავები ზანდუკში, დაჰპირდნენ—ჩქარა დავბრუნდებით ვალის ასაღებად და ახალი ტყავებისთვისო და წავიდნენ.

მდინარის პირად ისევ გამეფდა სიჩუმე, რომელსაც მხოლოდ ბლითების ხრამუნი არღვევდა. მთელი ოჯახი ახრამუნებდა ბლითებს. ალანმური ბედნიერი იყო. რამდენი სანოვაგე აქვს დამზადებული. დიდხანს ეყოფათ, ყველანი მაძღარნი იქნებიან. რა კარგი ხალხია ეს ვაჭრები! რამდენი კარგი რამეები დაგვიტოვეს რამოდენიმე გამოუსადეგარ ტყავის მაგივრად. ტყავს ხომ ვერ ჭამს კაცი! ვაი, რომ აზრადაც არ მოსდიოდა ამ გულუბრყვილო, ბუნებით პატიოსან ველურ დედაკაცს, რომ ვაჭრებმა უღვთოთ მოატყუეს, რომ იმათი საქონელი არაფრად არ ღირდა, და სამაგიეროდ-კი სამჯერ უფრო მეტი მიიღეს. ამისთანა ბოროტების წარმოდგენა შეუძლებელი იყო პატიოსანი დედაკაცისათვის და დამშვიდებული და ბედნიერი იყო. როგორ სწყინდა, რომ არ იყო აქ კეთილი ბარალტაი! ისიც გაიხარებდა საერთო ბედნიერებით,—ჩაახრამუნებდა გემრიელ ბლითებს. ახლა-კი საწყალი მშიერი დადის ტაიგაში ნანადირევის მოსატანად და არა აქვს არც ბლითები, არც თამბაქო. მოდი გაუგზავნი,—იმანაც გაიხაროს ტაიგაში, გადასწყვიტა მან, და მაშინათვე უბრძანა თავის უფროს ათი წლის ვაჟს შემს მომზადებულიყო წასასვლელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წადი, შემ, მოძებნე მამა,—უთხრა მან შვილს,—იგი უთუოდ მშიერი დადის, თამბაქოს მოწევა ენატრება; მიუტანე ბლითები და თამბაქო და ისევ მოდი შინ. გაფრთხილდი, არც ერთი ბლითი არ დაგეკარგოს; შენ არ შეჭამო, იცოდე—მამას მიუტანე სრულად. გასწი!

ბიჭი უსიტყვოდ დაემორჩილა, ჩაიცვა რაღაც ნაფლეთები, თავზე დაგლეჯილი ქუდი დაიხურა, აიღო ერთი ასხმა ბლითები და თამბაქო და გასწია იქითკენ, საითაც მამა მისი წავიდა, სწორედ იმ ტყისაკენ, საიდანაც მზე ამოცურდება ხოლმე. მამა იმ ტყეშია, იქ უნდა ეძებოს. მაგრამ ნახავს თუ არა, ამის შესახებ არც-კი დაფიქრებულა. რასაკვირველია ნახავს. განა შესაძლებელია ადამიანი ტაიგაში დაიკარგოს. საჭიროა და უნდა ნახოს. და ბავშვიც წავიდა.

გაიარა ვეება მინდვრები და მიაღწია მთის კალთაზე ტაიგის პირას. აქ შეუდგა მამის კვალის ძებნას. უკვალოდ სიარული ხომ არ შეუძლია ადამიანს, და იმის მამა სულელი არ არის, კვალი არ დასტოვოს. მართლაც ბავშვი არ მოსტყუვდა. იმის გამჭრიახმა თვალებმა ჩქარა გაარჩია მოშორებით მიწაში დახრილად ჩარჭობილი ჭოლოკი. შემი მიენდო ამ ნიშანს, თითქოს ხელით აჩვენეს გზაო, და უშიშრად შევიდა უდაბურ ტყეში. აქ-კი უფრო ძნელი იყო გზის პოვნა; გულმოდგინედ ათვალიერებდა მიწას, ცდილობდა ენახა მამის ფეხის ნაკვალევი, აკვირდებოდა ხეებს, არის თუ არა ზედ ჭდე. როგორც ნადირი ნადირს ეძებს, ან ძაღლი ნადირის სიახლოვეს ალოთი აღმოაჩენს, ისე მისდევდა შვილი მამის ნაკვალევს. ჩქარა ის წააწყდა ბუჩქნარს, სადაც ოდნავ ჩანდა, რომ ვიღაც სულიერს გაევლო; უსათუოდ მამა იქნებოდა, რადგანაც, ნადირი რომ ყოფილიყო, ასე მაღლა ვერ დალეწდა ტოტებს. ბუჩქებში გადატეხილი ჩქოლა *) დაინახა და მიწაზედაც ოდნავ შესამჩნევად ფეხის ნაკვალევიც სჩანდა. ეჭვი არაა: მამას გაუვლია,—გაიფიქრა ბავშვმა და თამამად გასწია წინ.

*) ჩქოლა ახალგაზდა ხე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირგვლივ კედელივით შემორტყმოდა წვრილი ხეების გადახლართული ტოტები. ცა პაწია ნაფლეთებივით მოსჩანდა ხშირ ფოთლებ შორის. ხის ტოტები სცემდნენ სახეზე და უფარავდნენ გზას. მაგრამ შემი მარჯვედ მისდევდა ნაკვალევს და მიდიოდა წინ. თუმცა ტყეში ეს ნათლად არ სჩანდა, მაგრამ ჩქარა მიხვდა, რომ დალმართზე ძიდის, სწორედ იმ ხრამისაკენ, რომელიც ურასიდან დილაობით ნისლით ამოვსებული მოსჩანს. დიდხანს მიდიოდა ის ამ უსაზღვრო ტყის ზღვაში, როგორც მწერი, როგორც თხუნელა მიძვრებოდა დაბრკოლებათა შორის. კიდევ ნახა რამოდენიმე მოტეხილი შტო და ახლა სრულიად დარწმუნდა, რომ სწორ გზას ადგია და დამშვიდებით მიდიოდა. მხოლოდ მზის ჩასვლისას ბილიკი აჰყვა ალმართს, გათავდა წვრილი ხეების ტყე და თვალწინ უზარმაზარი ხეებით შეფენილი სერი გადაიშალა.

აქ ერთი ხის ძირას მამის უეჭველი კვალი ნახა: ნაცარი და მომწვარი ირგვლივ ბალახი, კავი, რომელზედაც ჩაიდანი ეკიდა ასადულებლად, კაკაბის ბუმბული; აქვე მიწაში ჩარჭობილი იყო გზის მაჩვენებელი ჭოლოკი, ნაცარი და ნაცრის ქვეშ მიწაც ცივი იყო; სჩანდა, რომ ბარალტაი დიდი ხანია წასულიყო აქედან. მაგრამ არა უშავს რა: შვილი დაეწევა მამას, რადგანაც მამა, ნადირის დარაჯობისა და დევნის დროს ნელა მიდის,—მე კი ჩქარა წავალ, ფიქრობდა ბავშვი. თავი-და-თავი ახლა ისაა, რომ ტაიგაში ღამდება და ღამის გასათევი ადგილია მოსაძებნი. ცეცხლი არ არის. კვეს-აბედიც არ წამოუღია შინიდან; ცეცხლს ვერ აანთებს და მიწაზე დაძინება საშიშია: მხეცი შესჭამს. ცოტა ფიქრის შემდეგ შემმა გადასწყვიტა ხეზე გაეთია ღამე. ამოარჩია ხშირ ტოტებიანი ხე, იპოვა ზედ საწოლად მოხერხებული შტოები; რაც მეტი ტოტები იყო—შეაჭრა და დააგო ქვეშსაგების მაგიერ და დაწვა სამი საჟენის სიმაღლეზე სურნელოვან მაგარ ლოგინში. დათვსაც შეეძლო მიეგნო ამ ადგილისათვის, სხვა რამ ხეზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსიარულე მხეცსაც შეეძლო დაეგლიჯა ბავშვი, მაგრამ შემი დამშვიდებით იყო. როგორც კარგ ველურს—ესმოდა, რომ ვერც დათვი ვერც სხვა რამ მხეცი ვერ გაბედავს თავს დაეცეს ადამიანს ხეზე მოწყობილ სადარაჯო ბუდეში. ადამიანი—ეშმაკი, ცბიერი მხეცია, და ვინ იცის რა აქვს თავის გუნებაში. იქნება ეს საფარია, ნადირის სასიკვდილოდ მოწყობილი. ყოველი ნადირი გზას აუვლის, როცა ხეზე ადამიანის სუნს იგრძნობს.

ტაიგაში ბნელდებოდა. მზე დიდი ხანია ჩავიდა. დაწყნარდა ფრინველთ უკანასკნელი ძახილიც. ტყეში სამარისებური სიჩუმე გამეფდა. თავის ჰაეროვან ლოგინში მწოლარე შემი დალალვას გრძნობდა. შიოდა: ჭამა უნდოდა; ერთი ასხმა ბლითები ჰქონდა თან, მაგრამ მისი შეჭმა როგორ იქნება: მისი ხომ არ არის—მამისაა. მშიერმა დაიძინა. პირველად კი არ დაუძინია მშიერს. ღამე ყვიროდნენ ჭოტები და წიოდნენ რაღაც ღამის ფრინველები; ბავშვს კი ეძინა, ეძინა როგორც ფრინველს თავის ბუდეში, სადღაც ტაიგის სიღრმეში მიმალულს.

ნინო ნაკაშიძე.

(შემდეგი იქნება.)



ძროხები და მგელი.

(ამბად გაგონილი).

ინდვრად სძოვდა სამი ძროხა:
თეთრი, შავი და წითელი,—
ნახირიდან განზე გასულთ
შეხვდათ დიდი რუხი მგელი;
აუარა, ჩაუარა
ხან ერთსა და ხან მეორეს,
თვალი თვალში გაუყარა,
მაგრამ სამთვე მოიშორეს:
ზურგით ზურგსა მიეყუდნენ,
ურქინეს და გაამწარეს;
დამთხვეული რუხი მგელი
დაქაქანებს ყოველ მხარეს...
ძალით ვერა გააწყო რა,
სამთ ერთ პირით დაიმონეს,
მგელმა-კი სთქვა გუნებაში:
„სჯობიაო ხერხი ღონეს!“
ამით დაცხრა, გაეცალა,
სათვალთმაქცოდ მიატოვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანამ შავი ძროხა ტყეში
დაშორებით არა ჰპოვა.
შორი-ახლო ჩაცუცქდა და
უთხრა:—ჩემო დაიაო,
ხელს ა^ გახლებ, არას გერჩი,
არ მომიკვდეს თავიაო!..
მომწონხარ, მსურს რჩევა მოგცე:
გიჯობს, კარგა მომისმინო,
თუ გსურს დარჩე თავ-ტან მთელი
და სიცოცხლით მოილხინო.
უთხრა ძროხას მოერიდეთ,
ღამით ნათობს, როგორც მთვარე,
თორემ თავსხმას გეპირებათ
ჩემი ტომი და მოგვარე!
გირჩევნიათ გაეცალოთ
შენ და ძროხა წითელიო,—
ამხანაგი თუ კი გაგცემს,
სიცოცხლესა ვით ელიო?..

შეისმინა შავმა რჩევა,
წითლით თეთრსა გაეცალა.
მგელმა თეთრი მოიხელთა,
შეთქვლიფა და იგრძნო ძალა.
ერთი კვირის შემდეგ მგელმა
ნახა შავი:—როგორ ხარო?—
ძროხამ უთხრა:—შენმა რჩევამ
შავ-ბედს ღამხსნა მეგობარო!..
მგელმა უთხ^ა:—კიდევ გეტყვი,
შეისმინე ჩემი რჩევა:
წითელ ძროხას მოერიდე,
ღამით ისიც გაირჩევა.
ვიცი—ჩემი მოგვარენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას დასდევენ, შენც შეგჭამენ
და გულითად მეგობარსა
უეჭველად დაგლუპამენ!“

შავი წითელს მოერიდა,
გაცალკევდა, გაგარევდა,
და მის ლრიალს ამხანაგი
თითქოს სრულად არ ამჩნევდა...
მგელმა მასაც მოულხინა,
თათ-კისერი დაიმსხვილა,
და კვირის თავს შავ ძროხასაც
გაუთენა შავი დილა;—
ჰკითხა: „ახლა როგორ ხარო?“
—კარგად, ჩემო მეგობარო;
არვინ მამჩნევს, მომავალშიც
აქავ უნდა ვიმეაბარო...
შენ როგორლა მოგიკითხო?
—ახლა-კი ვარ მე ძლიერი,
თქვენის დაცალკევებითა
გამოვძეხი კუჭ-მშიერი.
ჯერი შენზე მოდგა, დაო,
მომალხინე, გენაცვალე;
შენც იგრძენი ჩემ კბილთ ძალა,
ამხანაგი რო გასცვალე!
უთხრა ეს და უცებ ეცა,
შავი ძროხაც ინაცვალა
და ამგვარად დაამარცხა
თვითეულად სამთა ძალა!..

იოსებ იმედაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქროს საწმისი*).

აზონი იყო შვილი იოლქოს მეფისა, რომელიც მეფე პელეასმა ტახტიდან გადმოაგდო და მოკლა. ერთხელ ახალგაზდა პრინცმა გაიგო: თუ ოქროს საწმისს ხელში ჩაიგდებს, პელეასის ტახტიდან ჩამოგდებასა და მის ადგილზე ასვლას შეძლებს.

ოქროს საწმისი საუცხოვო რამ განძი იყო. წინად ვერძის, ცხვრის საწმისი იყო, რომელმაც თავი შესწირა ორი ბავშვის გადასარჩენად. ამის სახსოვრად საწმისი ოქროდ გადაიქცა.

ეს საწმისი ჩამოკიდებული იყო საღვთო ტყეში. ყველა ძლიერ მეფეებს უნდოდათ იმის შოვნა, რადგანაც ამისთანა შესანიშნავი განძი არც ერთ მათგანს არ ჰქონდა.

იაზონმა წამოისხა ვეფხვის ტყავი, ჩაიცვა სანდლები, ხელში შუბი აიღო და გზას გაუდგა. მალე მივიდა ერთ ქა-

*) ცხვრის ტყავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაქში, ზღვის პირას, სადაც აუარებელი ხალხი მოგროვილიყო პელეასის სანახავად, რომელიც დიდ შავ გარეულ ხარს ჰკლავდა ნეპტუნისათვის *) შესაწირავად. იაზონს გზაში დაჰკარგოდა ცალი სანდალი; ამიტომაც ხალხი განცვიფრებით უყურებდა და ჰყვიროდა: „შეხედეთ! ცალი სანდალი აცვია! საიდან მოდის! რას აპირებს?!. რას იტყვის მეფე?!.“

ხალხში ძველი გადმოცემა იყო: ის ადამიანი, რომელიც ცალი სანდლით მოვა, ამ ქვეყანაში გამეფდებაო.

როდესაც იაზონს პელეასმა თვალი მოჰკრა, ძალიან შეეშინდა, იმის გამოსაცდელად შემდეგი კითხვით მიმართა:

— რას უზამდი, იაზონ, იმ კაცს, რომელიც შენ მოსაკლავად და გასაქრობად დაბადებულა?

— გავგზავნიდი ოქროს საწმისის საშოვნელად,—უპასუხა იაზონმა.

იმან კარგად იცოდა, რომ სამეფოს დაპყრობამდე ოქროს საწმისი უნდა ეპოვნა, თუმცა ეს ძნელი და საშიში საქმე იყო.

— მაშ წადი და მომიტანე,—უთხრა პელეასმა.

— მივდივარ იმის მოსანახავად. ჩემ დაბრუნებისას-კი თქვენ ტახტიდან გადმობძანდებით და თქვენ ადგილს მე დავიჭერ,—სთქვა იაზონმა და გზას გაუდგა.

შევიდა ერთ დაბურულ ტყეში, სადაც იდგა შესანიშნავი მუხა, რომელიც ყველა შეკითხვაზე პასუხსა და რჩევას იძლეოდა.

იაზონიც სწორედ იმ ხესთან წავიდა რჩევის საკითხავად.

— როგორ უნდა მოვიქცე ოქროს ვერძის ხელში ჩასაგდებად?—ჰკითხა მან ხეს.

— წადი და არგუსს უბძანე,—ერთი ძალიან კარგი გემი აგიშენოს, ზედ ორმოც-და-ათი ღონიერი მეზღვაური დასვას და ხელში ორმოც-და-ათი ნიჩაბი მისცეს.

---

*) ზღვის ღმერთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არგუსმა აუშენა ამისთანა დიდი გემი და იაზონი ორმოც-და-ცხრა ამხანაგით გაემგზავრა ოქროს ვერძის საშოვარად. გზაში დასჭირდათ ექვს-ხელიან დევებთან ბრძოლა. დაამარცხეს ისინი და შემდეგ გაფანტეს მტაცებელ ფრინველთა გუნდი, რომელიც მათ ისრებს ესროდა. როგორც იქნა მიაღწიეს კოლხიდას, მივიდნენ იმ ტყის ახლო, სადაც იყო ოქროს საწმისი; მაგრამ, თუმცა ახლოს იყვნენ, ჯერ კიდევ ბევრი საფრთხე ელოდათ, სანამ თავის განზრახვას აასრულებდნენ.

კოლხიდის მეფე ძალიან გაბრაზდა, როდესაც გაიგო, რომ იაზონს უნდოდა ოქროს საწმისის შოვნა. ამიტომაც ცდილობდა მისთვის ხელი შეეშალა. იაზონმა მოჰკლა გარეული ხარები, რომლებსაც ფეხები და ფილტვები ბრინჯაოსი ჰქონდათ და იმათი სუნთქვა ისეთი ცხელი იყო, რომ, ვინც კი მიუახლოვდებოდა, იმ წამსვე ნაცრად იქცეოდა; მეფის ქალმა მედეამ, რომელმაც კარგად იცოდა გრძნეულების საიდუმლო, ასწავლა იაზონს—რა საშუალება უნდა ეხმარა, რომ არ დამწვარიყო და ბოროტი სულები გაექარწყლებინა.

იაზონიც ისე მოიქცა, როგორც მედეამ უთხრა და გარეული ხარები მოაშინაურა, შეაბა გუთანში და ერთი მინდორი მოხნა მედეას მოცემული გველეშაპის კბილების დასათესად. როცა დათესა, დედამიწიდან მეომართა ჯარი ამოვარდა. „დავიხსნათ ოქროს ვერძი!“ დაიყვირეს იმათ ერთბაშად და მივარდნენ იაზონს მოსაკლავად, მაგრამ მედეამ გაფანტა მეომრები და ისე მოახერხა, რომ ერთმანეთს დაერივნენ და დაიხოცნენ.

მაშინ იაზონი შეევედრა მეფეს: ნება მომეცი გველეშაპს შევებრძოლოო.

ეს გველეშაპი იმ ტყის დარაჯი იყო, სადაც ოქროს ვერძი ინახებოდა.

მეფემ უარი უთხრა. მედეამ, როდესაც ეს ამბავი, გაიგო, უთხრა იაზონს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოდით შუალამეს ტყის პირად; მეც იქ დაგხვდებით და შეგიყვანთ.

მართლაც, თორმეტი საათი შესრულდა თუ არა, ორივენი შევიდნენ ტყეში და მთვარის შუქზე საწმისისკენ გასწიეს.

— გაიქეცით ჩქარა!..—დაუყვირა მედეამ იაზონს:—მოიტაცეთ ოქროს ვერძი და გაიქეცით.

იაზონმა სტაცა ხელი ოქროს საწმისს, და ის იყო გაქცევა დააპირა, რომ გველეშაპმა გამოიღვიძა და გამოეკიდა. მაგრამ იაზონი ჩახტა ამხანაგებთან ერთად თავის გემში და იოლქოსაკენ გაემგზავრა. იქ იაზონმა ჩამოაგდო ტახტიდან პელეასი და თვითონ გამეფდა.

მედია ლ—ძე.

ბრძოლა ადამიანისა ბუნებასთან.

წერილი პირველი.

ადრინ ტყეები ძლიერ ბევრი იყო დედამიწაზე, ხალხი-კი ცოტა. ადამიანები, ნადირებსავით, უფრო ტყეებში ცხოვრობდნენ და იმით ირჩენდნენ თავსა, რასაც მზა-მზარეულად აძლევდა მათ ტყე, სახელდობრ — ხილით და ნადირის ხორცით.

მაგრამ ტყეს ბევრი ხალხის გამოკვება არ შეუძლია; ამიტომ, როცა ხალხი გამრავლდა, ტყის ხილი და ნადირის ხორცი ხალხს აღარ ჰყოფნიდა და, მეტი გზა არ იყო, ხალხსაც სხვა საშუალება უნდა გამოეძებნა, რომ სიმშილით არ გამწყდარიყო, და გამოძებნა კიდეც. ეს იყო მიწად-მოქმედება, ე. ი. მიწის დამუშავება და პურის თუ სხვა საჭირო მცენარეების თესვა-მოყვანა.

რადგანაც უმეტესი ნაწილი მაშინდელი დედამიწისა ტყეებით იყო დაფარული, ამიტომ საჭირო გახდა ტყეების გაჩეხვა და ადგილების გამინდვრება. ტყის გაჩეხვა-კი მაშინდელ დროში ადვილი საქმე არ იყო, რადგანაც ადამიანებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ კარგად ირ იცოდნენ რკინის დამუშავება და, მაშასადამე, არც ცულ-ნაჯახების კეთება და ხმარება იყო ხალხში გავრცელებული.

ეს იყო მიზეზი, რომ ხალხმა მიმართა ცეცხლსა, რომელიც, თქვენც კარგად გეცოდინებათ, ყოველ ცულზე და ნაჯახზე ერთი ათად უფრო ჩქარა და უფრო კარგად ამინდვრებს ყოველგვარ ტყესა.

ტყეების ცეცხლით ამოგდების საშუალება მალე გავრცელდა ყველა ხალხებში: წაუკიდებდნენ ტყეს ცეცხლსა და მისგან მოწმენდილ და ნაცრით გაპოხიერებულ ადგილზე სთესავდნენ პურს, სიმინდს და სხვა სულადსა (საზრდოსა). ამ საშუალების გავრცელებას ხელი შეუწყო კიდევ შემდეგმა გარემოებამ: ხალხმა მალე შენიშნა, რომ ცეცხლით ახლად გამინდვრებულ ადგილებში ჭირნახული გაცილებით უფრო უხვად მოდის, ვიდრე ნახმარ მინდვრებზე, და ამიტომ, შეატყობდნენ თუ არა, რომ მინდორი კარგ მოსავალს ალარ აძლევდა, სხვა ტყეებს სწვავდნენ და ამგვარად სპობდნენ და ანადგურებდნენ ტყეებსა.

ადამიანი მარტო ხვნა-თესვისათვის არა სპობს ტყეებსა. ხე-ტყე, როგორც თქვენც გეცოდინებათ, საჭიროა აგრედვე შეშისათვის და შენობებისა, ავეჯისა და სხვა მრავალგვარ ნივთების საკეთებლად. ამიტომ ცეცხლზე ნაკლები ზარალი ტყეებისათვის არც ცულმა და ხერხმა მოუტანა. ხე-ტყით მოვაჭრენი ხშირად პირ-ალებით სჭრიან მთელ ტყეებს და გაქვთ ყოველ მხარესა გასაყიდად, როგორც ვხედავთ ამას თბილისში, სადაც ასობით და ათასობით ჩამოაქვთ მტკვრით მთელი ტივები. თითო ტივში-კი ცხრა და ათი ვეებერთელა მორია შეკრული.

ასე და ამგვარად სპობდა და ანადგურებდა ადამიანი ტყეებს, ასე და ამგვარად დაუნდობლად ებრძოდა ადამიანი ბუნების ამ საუკეთესო მშვენებას და ბოლოს იქამდის მივიდა, რომ თითქმის გაანახევრა იგი, ხოლო მრავალ ადგილ ებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულაც მოსპო კიდეცა. მაგრამ იაფად არ დაუჯდა ადამიანს მისი ასეთი უდიერი ქცევა. გავიდა ხანი, და აღმოჩნდნენ მეცნიერები, რომლებმაც თვალ-ნათლივ დაუმტკიცეს ყველას, რომ ტყე მარტო გარეგანი მშვენიერება არ არის ბუნებისა, რომ იგი იმავ დროს აუცილებელი პირობაა ბუნების სისრულისა, რომ მის გარეშე საეჭვოა თვით არსებობა და ცხოვრება ადამიანისა ამ ქვეყნად. მეცნიერებმა თვალ-ნათლივ დაუმტკიცეს ყველას, რომ ის ქვეყნები, სადაც-კი მოსპეს ტყეები, მალე სულ გავერანდა, წყაროები და მდინარეები დაშრა და ხალხიც მოისპო.

აი თურმე რაშია საქმე:

ტყეები და ტყის ხეები, როგორც კარგი ქოლგა, ისე იფარავენ დედამიწას მზის მწვავე სხივებისაგან და ამის გამო იქ ნესტი და სისველე სამუდამოდ რჩება მიწაში; უიმისოდ-კი დედამიწა ისე მალე შრება და ხმება მზის მწვავე სხივებისაგან, რომ მიწას სრულიად აღარ შეუძლიან მცენარეების გამოკვება და ამიტომ ჭკნება და ოხრდება ყოველი მცენარე და ჭირნახული.

გარდა ამისა, ცნობილია, რომ ტყიან ადგილებში წვიმა უფრო ხშირად იცის, და წვიმის წყალიც მშვენივრად უჯდება ტყის ფაფუკ მიწასა და გასდევს მისი ხეების ფესვებს ღრმად დედამიწის გულში. ასევე, მეტი მოდის თოვლი იქ, სადაც ბევრია ტყეები და უფრო გრილა ზაფხულში და თბილა ზამთარში.

ადვილი დასაჯერებელიც არის ეს: საცა ტყეებია, იქ ნაკლებად იცის ქარი და, გარდა, ამისა, ტყეები მშვენივრად იფარავენ ქვეყანას ქარისაგან, ქარი-კი ზამთარში ისე აცივებს ქვეყანას, რომ სრულიად აფუჭებს და ახმობს მცენარეებს, ზაფხულობით-კი ისე ახმობს და აფქვილებს მიწასა, რომ მთელ ქვეყანას მტვერში და კორიანტელში ახვევს.

ეს ცოტაა: უტყეო მთებიდან და ადგილებიდან, წვიმებისა და ნიაღვრების დროს, წყალი დაუბრკოლებლად მოექა-

ნება ქვევით ხევებში, გადმოდის ნაპირებიდან და ანადგურებს ბალ-ვენახებსა და მინდორ-ნათესებსა. არის ბევრი ისეთი ადგილები, რომ მთის ასეთ ხევებს მთელი მიდამო ხუთი და ათი ვერსის მანძილზე ქვითა და ღორღით მოურიყავს. იმისაგან ხდება ყველა ეს, რომ ადამიანებმა უთავბოლოდ გაჩეხეს მთებში ტყეები, რომლებიც წინად მშვენივრად იკავებდნენ და ინახავდნენ წვიმებისა და ნიაღვრების წყალს თავის ფაფუკ მიწაში და მხოლოდ წვეთ-წვეთად და მშვენიერ ცივ და ანკარა წყაროებად უშვებდნენ წყალს დედამიწის სიღრმიდან.

მარტო ამით არ თავდება ტყეების გაჩეხისაგან წარმომდგარი უბედურება. მოტიტვლებულ სერებიდან და გორებიდან ნიაღვრებს ადვილად ჩამოაქვს ძირს ხევებში ტყეების ის ფაფუკი მიწა, რომელიც წინად მშვენივრად იკავებდა წვიმების და თოვლის წყალს, ხოლო ხევებს მიაქვთ იგი მინდვრებზე და სამუდამოდ ჰლამავენ და მარხავენ აქ თავის ქვეშ ამწვანებულ ჯეჯილებსა და ყანებს.

არც ზღვებს ეძლევა ნაკლები ზარალი ამავე მიზეზით. მთა-გორებიდან ჩამორეცხილი მიწა ნიაღვრებს მიაქვს აგრედვე ზღვებში და ისე ავსებენ, რომ ზღვები თვალ-საჩინოდ თხელდებიან და მცირდებიან; მხოლოდ იქ, სადაც ტყეები სრულიად მოსპეს, თვით ზღვებიც ისპობა, როგორც, მაგალითად, კასპიისა და არალის ზღვებს შუა ადგილებში, სადაც წინად მთელი უშველებელი ზღვა იყო გადაჭიმული და ახლაკი ცარიელი ქვიშა და გაუვალი უდაბნოა. ეს კი კარგი არ არის, რადგანაც, თუ ზღვები არ იქნება, საიდან უნდა შეივსოს ცამ ღრუბლები, რომ ხანდისხან მაინც მოგვცეს წვიმა. რომ ზღვები მართლა მცირდებიან, სჩანს შემდეგი მაგალითებიდან: ის სოფლები და ქალაქები, რომლებიც ამ აბი წლის წინად ზღვების პირად მდებარეობდნენ, ახლა 12—15 ვერსზე არიან დაშორებულნი ზღვის ნაპირებს.

მარტო ფაფუკ მიწას არ იფარავს ტყე მთა-გორების ფერდობებზე. იგი ერთგვარად კარგად იფარავს და იცავს იქ თვით

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლდეებსა და იმ თოვლსა, რომელიც ბლომად მოდის მთებში. უტყეოდ-კი, ქარი, წვიმები და ყინვები ისე ცუდად მოქმედებენ მთა გორების მოტიტვლებულ ფერდობებზე, რომ ხშირად მოსწყდება ხოლმე მთელი უშველებელი მთა ანუ თოვლის ზვავი და საშინელი სისწრაფით ვარდება ძირს, სადაც მარხავს თავის ქვეშ მთელ დაბა-სოფლებსა და ქალაქებს.

ასევე მავნებელია ტყეების გაჩეხვა ზღვების ნაპირებთან.

გენახვებათ, ან გაგონილი გექნებათ, რომ უდაბნოებში და ზღვების პირად მთელი გორებია ამართული ქვიშისა და ღორღისა. სანამ ამ ადგილებში ტყე და ბალახი იზდებოდა, ამათი ფესვები და მიწად-ქცეული დამპალი ფოთლები მშვენივრად იცავდნენ ქვიშას ქარებისაგან, ხოლო, როცა გადასჭრეს ტყეები, ქარებმა თავისუფლად იწყეს ქვიშის მთელი გროვების ხან აქეთ და ხან იქით გადატანა და ამგვარად ჰმარხავდნენ ქვიშის გორების ქვეშ ზღვების ახლო მდებარე სოფლებსა, ქალაქებსა და ბალ-მინდვრებსა.

მაგრამ ყველა ნათქვამი სათქმელიც არ არის იმ სარგებლობასთან, რომელიც მოაქვთ ტყეებს ხალხის ჯანმრთელობისათვის. დამტკიცებულია, რომ ტყეები ისე კარგად ასუფთავებენ ჰაერს ყოველგვარ ხაშმისაგან, რომ თვით ჭაობებიც-კი ვერას ავნებენ ადამიანებს, რადგანაც, როცა ტყეებია, მაშინ ჭაობებიც და მდინარეებიც სავსეა წყლით და უტყეობისაგან კი მდინარეები და ჭაობები ისე თხელდება, რომ რჩება მარტო გუბეები, რომლებშიაც ადვილად მრავლდება კოლო და ესენი აჩენენ ეგრედ-წოდებულ დამპალ ციებ-ცხელებასა.

ასეთი უაზრო და უთავ-ბოლო იყო პირველი ბრძოლა ადამიანისა ბუნებასთან უწინ. სულ სხვანაირია იგი ახლა. დღეს განათლებულმა ხალხებმა უკვე კარგად შეიგნეს ტყეების დიადი სარგებლობა—მნიშვნელობა და ამიტომ გამოსცეს სასტიკი კანონები ტყეების უაზროდ და უთავბოლოდ გაჩეხვის წინააღმდეგ. თვით ტყეების მოჭრის საქმეც ისე

ნება ქვევით ხევებში, გადმოდის ნაპირებიდან და ანადგურებს ბალ-ვენახებსა და მინდორ-ნათესებსა. არის ბევრი ისეთი ადგილები, რომ მთის ასეთ ხევებს მთელი მიდამო ხუთი და ათი ვერსის მანძილზე ქვითა და ღორღით მოურიყავს. იმისაგან ხდება ყველა ეს, რომ ადამიანებმა უთავბოლოდ გაჩეხეს მთებში ტყეები, რომლებიც წინად მშვენივრად იკავებდნენ და ინახავდნენ წვიმებისა და ნიაღვრების წყალს თავის ფაფუკ მიწაში და მხოლოდ წვეთ-წვეთად და მშვენიერ ცივ და ანკარა წყაროებად უშვებდნენ წყალს დედამიწის სიღრმიდან.

მარტო ამით არ თავდება ტყეების გაჩეხისაგან წარმომდგარი უბედურება. მოტიტვლებულ სერებიდან და გორებიდან ნიაღვრებს ადვილად ჩამოაქვს ძირს ხევებში ტყეების ის ფაფუკი მიწა, რომელიც წინად მშვენივრად იკავებდა წვიმების და თოვლის წყალს, ხოლო ხევებს მიაქვთ იგი მინდვრებზე და სამუდამოდ ჭლამავენ და მარხავენ აქ თავის ქვეშ ამწვანებულ ჯეჯილებსა და ყანებს.

არც ზღვებს ეძლევა ნაკლები ზარალი ამავე მიზეზით. მთა-გორებიდან ჩამორეცხილი მიწა ნიაღვრებს მიაქვს აგრედვე ზღვებში და ისე ავსებენ, რომ ზღვები თვალ-საჩინოდ თხელდებიან და მცირდებიან; მხოლოდ იქ, სადაც ტყეები სრულიად მოსპეს, თვით ზღვებიც ისპობა, როგორც, მაგალითად, კასპიისა და არალის ზღვებს შუა ადგილებში, სადაც წინად მთელი უშველებელი ზღვა იყო გადაჭიმული და ახლაკი ცარიელი ქვიშა და გაუვალი უდაბნოა. ეს კი კარგი არ არის, რადგანაც, თუ ზღვები არ იქნება, საიდან უნდა შეივსოს ცამ ღრუბლები, რომ ხანდისხან მაინც მოგვცეს წვიმა. რომ ზღვები მართლა მცირდებიან, სჩანს შემდეგი მაგალითებიდან: ის სოფლები და ქალაქები, რომლებიც ამ აბი წლის წინად ზღვების პირად მდებარეობდნენ, ახლა 12—15 ვერსზე არიან დაშორებულნი ზღვის ნაპირებს.

მარტო ფაფუკ მიწას არ იფარავს ტყე მთა-გორების ფერდობებზე. იგი ერთგვარად კარგად იფარავს და იცავს იქ თვით

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლდეებსა და იმ თოვლსა, რომელიც ბლომად მოდის მთებში. უტყეოდ-კი, ქარი, წვიმები და ყინვები ისე ცუდად მოქმედებენ მთა გორების მოტიტვლებულ ფერდობებზე, რომ ხშირად მოსწყდება ხოლმე მთელი უშველებელი მთა ანუ თოვლის ზვავი და საშინელი სისწრაფით ვარდება ძირს, სადაც მარხავს თავის ქვეშ მთელ დაბა-სოფლებსა და ქალაქებს.

ასევე მავნებელია ტყეების გაჩეხვა ზღვების ნაპირებთან.

გენახვებათ, ან გაგონილი გექნებათ, რომ უდაბნოებში და ზღვების პირად მთელი გორებია ამართული ქვიშისა და ღორღისა. სანამ ამ ადგილებში ტყე და ბალახი იზდებოდა, ამათი ფესვები და მიწად-ქცეული დამპალი ფოთლები მშვენივრად იცავდნენ ქვიშას ქარებისაგან, ხოლო, როცა გადასჭრეს ტყეები, ქარებმა თავისუფლად იწყეს ქვიშის მთელი გროვების ხან აქეთ და ხან იქით გადატანა და ამგვარად ჰმარხავდნენ ქვიშის გორების ქვეშ ზღვების ახლო მდებარე სოფლებსა, ქალაქებსა და ბალ-მინდვრებსა.

მაგრამ ყველა ნათქვამი სათქმელიც არ არის იმ სარგებლობასთან, რომელიც მოაქვთ ტყეებს ხალხის ჯანმრთელობისათვის. დამტკიცებულია, რომ ტყეები ისე კარგად ასუფთავებენ ჰაერს ყოველგვარ ხაშმისაგან, რომ თვით ჭაობებიც-კი ვერას ავნებენ ადამიანებს, რადგანაც, როცა ტყეებია, მაშინ ჭაობებიც და მდინარეებიც სავსეა წყლით და უტყეობისაგან კი მდინარეები და ჭაობები ისე თხელდება, რომ რჩება მარტო გუბეები, რომლებშიაც ადვილად მრავლდება კოლო და ესენი აჩენენ ეგრედ-წოდებულ დამპალ ციებ-ცხელებასა.

ასეთი უაზრო და უთავ-ბოლო იყო პირველი ბრძოლა ადამიანისა ბუნებასთან უწინ. სულ სხვანაირია იგი ახლა. დღეს განათლებულმა ხალხებმა უკვე კარგად შეიგნეს ტყეების დიადი სარგებლობა—მნიშვნელობა და ამიტომ გამოსცეს სასტიკი კანონები ტყეების უაზროდ და უთავბოლოდ გაჩეხვის წინააღმდეგ. თვით ტყეების მოჭრის საქმეც ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაწესრიგეს, რომ დღეიდან შეუძლებელია ტყეების სრულიად ამოგდება. მაგალითად, დადგენილია, რა ზომის ხეების მოჭრა შეიძლება და რა ზომისა არა.

გარდა ამისა, აღმოაჩინეს ბევრგან დიდძალი მადნები ქვანახშირისა და ნავთისა, რომლებსაც ხმარობენ შეშის მაგივრად და ამანაც ძლიერ შეუწყო ხელი ტყეების დაცვას.

ეს ცოტაა. დღევანდელი განათლებული ხალხები ამითაც არ კმაყოფილდებიან და დიდძალ ფულებსა და შრომას ხარჯვენ ხელოვნურად ტყეების გაშენებაზე იქ, სადაც უფრო საჭიროა ისინი, მაგალითად, მდინარეების სათავეებში, რომ დაიცვან და დაიხსნან მით სოფლები და მინდვრები უზომო ნიაღვრებისაგან.

ივ. როსტომაშვილ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შარადა.

(წარმოდგენილი ს. ქელბაქიანისაგან.)

ვარადად გამოსაცნობი
მსურს გამოვსთქვა ერთი რამე.
აქვე ვსთხოვ—არ დამემდუროს,
მკითხველს თუ კი ვერ ვაამე.
სულ ცოტა ცდაა საჭირო,
არ სასაათე—საწამე!
ერთი სიტყვაა საჭირო;
ახლავე ნახოთ სჯობია:
ფრთოსანთ ხელობას გამოსთქვამს,
მათივე შესამკობია...
რომ ნავარდობენ ფრინველნი,
ერთი-მეორის მჯობია.
მეორე გვარად გამოთქმა
მკითხველზე მისანდობია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძრიელ ადვილი საქმეა;
ვგონებ, ოლად გაიგეთ.
სულ არც-კი არის საჭირო:
მხოლოდ ნაწილი აიღეთ;
მაშ ორი ასო წინიდან
მოსწყვიტეთ, სადმე წაიღეთ,
და, რაც გადარჩეს აქედან,
მხოლოდ ის გინდათ — აიღეთ.

—

პატარა სიტყვა დაგვირჩა,
მნიშვნელოვანი დიდია!
ის კაცის საკუთრებაა —
ქვეყნიერების ხიდია...
უმისოდ ვერას იყიდი:
არც არა გაგიყიდია...

გამოცანა.

ორი ასოდგან შესდგება
ერთი ცხოველის სახელი;
უეჭველია იცნობთ მას,
იქნებ ხართ კიდეც მნახველი.
გახსოვთ — მორიელს ერთხელა
დღე დააყენა მან ცხელი?!.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე. გამომც. თ. პ. ი. თუმანიშვილი.

„ნაკადული“-ს რედაქციაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

1) **ტომის თავგადასავალი,**—თხზ. მარკ ტვენისა, თარგმ. გრ. ყიფშიძისა, ფასი. . . . . 50 კ.

2) **რას გვიამბობს ოთახი,**—თხზ. ავენარიუსისა, თარგმ. გ. ჯაფარიძისა, ფასი. . . . . 20 კ.

3) **დასურათებული ასაწყობი ანბანი,**—ფასი. . . 1 მ. 20 კ.

4) **სკრუჯი და მარლეი,**—საშობაო მოთხრობა, ჩარლზ დიკკენსისა, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, ფასი . 25 კ.

5) **დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები** ჰ. ქ. ანდერსენისა, ერ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა და რ. კიპლინგისა, ფასი . . . . . 30 კ.

6) **ბავშვობა და სიყრმე,**—მოთხრობა ლევ ტოლსტოისა, თარგმ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი . . . . 60 კ.

7) **ორი მხატვარი,**—თარგმანი დ. ავალიანისა, ფასი . 15 კ.

8) **სამშობლო ბუნების სარკე,** დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები,—ივანე ელიაშვილისა, ფასი. 30 კ.

9) **შობა,** მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან, — ნინო ნაკაშიძისა, ფასი . . . . . 5 კ.

10) **ახალგაზრდა მეფის სიზმარი და დევი—ეგოისტი,** ორი მოთხრობა ოსკარ უაილდისა, თარგმ. ივ. მაჭავარიანისა, ფასი . . . . . 5 კ.

11) **დათო,** — ირ. ევდოშვილისა, დიდების მაძიებელი, თარგმ ალ. შანშიაშვილისა, ფასი . . . . 5 კ.

12) **მოთხრობები,**—ლაგერლეფისა და სხვა უცხო მწერლებისა . . . . . 5 კ.

13) **იგავ-არაკნი,** — 125 დასურათებული, პატარა მოთხრობა, ავტორის სურათით, ალ. მირიანაშვილისა, ფასი. . . . . 75 კ.

14) **ბიძია თომას ქოხი,**—რომანი **ბიჩერ-სტოუსი** ზანგთა განთავისუფლების დროისა, სურათებითა და ბიოგრაფიით, თარგმანი მ. კლიმიაშვილისა . 1 მ. 25 კ.

1914 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წელიწადი მეათე

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით;

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12** **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

36 სურათს ნაკადულის I-ლ გვერდზე.

საჩუქრად 1914 წ. ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი: **„მიწის ძვრა და ცეცხლის მფრქვეველი მთები“** (მრავალი სურათებით) გიორგი ანთელიძისა.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5** მ. ნახევარ წლით—**3** მან., ცალკ-ცალკე მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი**—**3** მან., მოზრდილთათვის **12 წიგნი**—**3** მან. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

საზღვარ გარედ: ერთი წლით **7** მ. ნახევარი წლით **4** მ.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ.

ხელის მოწერა შეიძლება

ტფილისში — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули,“ Головинскій пр. № 8, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგა-დოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთან. — **ფოთში** — თეოფილე კანდელაკთან. **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** ⊗ **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვასო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან. **გორში**—ნინო ლომოურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან. **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან. **განჯაში**—ბ. ამბოქაძესთან. **ერევანში**—კ. ოდიშარიასთან. **სილნალში** —ნ. ახმეტელაშვილთან. **ყარსში** — ივ. საათაშვილთან. **ალექსანდროპოლში**—ს. შატ. ბერაშვილთან. **ნახიჩევანში**—სამსონ მარჯანიშვილთან. **ხონში** —მ. ი. ჭავჭანიძესთან. **რაჭაში.**—მასწავლებ. ილია გოგიასთან

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

გამომცემელი **თავ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**